# დღეს იწყება ახალი სასწავლო წელი


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 206 (13291) | ოთხშაბათი, 1 სექტემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.


## მოგილოცავთ, მეგობრებო!

**ჩვენო მოსწავლე და სტუდენტო ახალგაზრდობავ! ახალი ენერგიით, ახალი შემართებით ცოდნის მწვერვალებისაკენ!**



ა ქ იქნება მათი პირველი გაკვეთილი.
(სურათი გადაღებულია თბილისის 46-ე საშუალო სკოლაში).
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# სკოლისაკენ!



როგორი სიყვარულითაც დედა ამზადებს გზისთვის თავის შვილს, ასე ამზადებდა მთელი ქვეყანა სკოლას დღევანდელი დღისათვის. მოსწავლეთა და პედაგოგთა მილიონიან არმიას კარი გაუღეს დღეს რესპუბლიკის სკოლებმა, ათეულ ათასობით სტუდენტსა და პროფესორ-მასწავლებლებს კი — უმაღლეს სასწავლებელთა აუდიტორიებმა. თუ გავითვალისწინებთ, რომ არ არის ოჯახი, სწავლასთან და სწავლებასთან რამე კავშირი რომ არა ჰქონდეს, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ დღეს საქართველოს მთელი მოზრდილი მოსახლეობა შეუდგა მეცადინეობას ან მეცადინეობისათვის ხელის შეწყობას.

სკოლის კალენდრით დღევანდელი დღე ახალი წელია, ახალი სასწავლო წლის პირველი დღეა, და, მაშასადამე, დღესასწაულია. სწავლება და სწავლა იოლი როდია, ეს დიდი, დაძაბული შრომაა, მაგრამ მას რაღაც ანდამატური ძალა აქვს, და ეს შრომა მაინც იზიდავს, თავის მორევში ხვევს დიდსა და პატარას. დიდი, დაძაბული შრომის მძიმე ტვირთს ეწევიან ისინიც, ვინც ასწავლის, და ისინიც, ვინც სწავლობს, პირველნი — ორმაგს, ისინი ხომ კიდეც სწავლობენ და კიდეც ასწავლიან, და რომ ასწავლიან, ძნელად სავალი ბილიკებით მიაცილებენ თაობას ცოდნის მწვერვალებისაკენ და გონების თვალით წარმოგიდგებათ, რომ კვლავ ჩამოდიან, რათა ახლა ახალი თაობა აიყვანონ იმავე ბილიკზე და აზიარონ იმ ნანატრ მწვერვალებს.

ხომ დიდი ჯაფაა, მაგრამ მაინც სასიხარულოა, ამაღელვებელია, სანეტაროა, რადგან ისეთი განძის მომპოვნელობაა, რომლის ტოლფასი არც მიწის ქვეშ და არც მიწის ზევით არ არსებობს — ცოდნისა.

ამიტომ არც გვიკვირს, რომ დღეს ამ მორიგი დაძაბული შრომის დაწყებას ზეიმობს მთელი ჩვენი ქვეყანა. არც ერთი სხვა შრომის დაწყება ისე არ ახარებს ადამიანს, როგორც ის მძიმე შრომა, რომელსაც სწავლა და სწავლება ჰქვია, რადგან ეს ჰგავს, მართალია, ძნელს, მაგრამ საინტერესო მოგზაურობას შეუცნობელ სამყაროში, ცოდნის სამეფოში.

მაშ მივულოცოთ ამ დიდი შრომის, ამ დიდი გზის დაწყება ჩვენს მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას, ჩვენს საყვარელ პედაგოგებს, ამაგდარ პროფესორ-მასწავლებლებს!

ისინი კი თავიანთი მხრივ გულითად მადლობას უძღვნიან პარტიას, მთავრობას, ხალხს, რესპუბლიკის მშრომელებს სახალხო განათლებისადმი მშობლიური მზრუნველობისათვის. ეს ბუნებრივიც არის — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში განათლება ხომ მთელი საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა განვითარებას უწყობს ხელს. ჩვენმა ადამიანებმა იციან ეს. ეს გამოხატულია ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, მთავრობის ზრუნვაში, რასაც ისინი იჩენდნენ და იჩენენ სასკოლო მშენებლობის მიმართ. წელს რესპუბლიკაში 180-მდე სასკოლო ობიექტი შენდება, მათ შორის 94 სკოლა და 43 სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებაა; მარტო მერხი წელს 30 ათასზე მეტია დამზადებული; 107 სახელწოდების სახელმძღვანელოა დაბეჭდილი 3 მილიონამდე ცალი საერთო ტირაჟით, 50-მდე ახალ სკოლაში დაირეკა დღეს პირველად სექტემბრის ზარი. არ წყდება მშენებელთა პატაკები — სულ ახალ და ახალ სკოლებს ამზადებენ, რომ საექსპლოატაციოდ გადასცენ სოფლად და ქალაქად. მშენებლებმა იციან, რომ პირველი სექტემბრით არ წყდება სასკოლო მშენებლობა, იციან, რომ რესპუბლიკაში კიდევ არის სკოლები, რომლებიც მოუთმენლად ელიან მათთვის გახკუთვნილი და დიდი ხანია დაწყებული შენობების დამთავრებას. ეჭვი არ არის, რომ მშენებლები კვლავაც წარმატებით განაგრძობენ დაწყებულ საქმეს.

სახალხო განათლებისათვის მშობლიური ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი დემონსტრაციაა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულება, რომელიც გუშინ პრესაში გამოქვეყნდა. ამ ბრძანებულებით საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა რესპუბლიკის 216 მასწავლებელს.

ვულოცავთ მათ ამ საპატიო წოდებას!

პარტიისა და მთავრობის, ხალხის ზრუნვით გარემოსილ სკოლებს ახლა ისლა მართებთ, რომ ღირსეულად გაამართლონ მათ წინაშე დასმული ამოცანები — აღუზარდონ სამშობლოს ღირსეული მოქალაქეები, კომუნიზმის მომავალი მშენებელი ადამიანები. სკოლა მოზარდ თაობას უნდა ზრდიდეს თანამედროვეობის მოთხოვნილების დონეზე, სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის გრანდიოზული აღმავლობის პირობების შესაბამისად. სწორედ ამას ემსახურება ცვლილებები, რომლებიც დღეიდან ხდება ჩვენი სკოლის სისტემაში. ახლა ყოველი საათიც ძვირფასია სასწავლო პროცესის მთელ მანძილზე, რადგან საშუალო სკოლამ უნდა აღზარდოს მეცნიერების საფუძვლებს კარგად დაუფლებული ახალგაზრდობა. მომავალი წლის გაზაფხულზე ორი კლასი — X-XI კლასები ერთდროულად რომ იქნება გამოშვებული, ეს ბევრ რამეს ავალებს ჩვენს სკოლებს, პედაგოგ-მასწავლებლებს. ახლა მთავარია სწავლების მაღალი დონე, ცოდნის საფუძვლიანი დაუფლება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ლიბერალიზმს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში. არის იმის ფაქტებიც, რომ მოსწავლეს დაუმსახურებლად მისცეს მედალი. უნდა გვახსოვდეს, რომ დაუმსახურებლად მედლის გაცემით სკოლა საკუთარ ღირსებას კარგავს.

ყოველი მოსწავლის ვალია დააფასოს მშობლის, სკოლის, პარტიისა და მთავრობის ამაგი, ხალხის ზრუნვა. მოსწავლის ცუდად სწავლისა და ცუდად ქცევის ყოველ გამოვლინებას მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ მშობლები, სკოლა, საზოგადოებრიობა. პედაგოგიური ხელოვნება და ოსტატობა იქითკენ უნდა წარიმართოს, რომ მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაში აღვზარდოთ სამშობლოს, ხალხის, სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა. უდიდესი ამოცანების წინაშე დგანან ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები — სამშობლოს უნდა მოუმზადონ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

დღეს გულით ხარობს ყველა მოსწავლე, ყველა სტუდენტი და მასწავლებელი. მაგრამ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ჩვენი სკოლების პირველკლასელები, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების პირველკურსელები, აგრეთვე ისინი, ვინც ჟურნალით ხელში, როგორც მასწავლებელი, პირველად შეაღებს საკლასო ოთახის კარს, და ვუსურვოთ მათ კეთილი გზა თავიანთი ცხოვრების ახალ სამყაროებში.

საქართველოს სკოლები, სასწავლებლები, ტექნიკუმები, ინსტიტუტები, უნივერსიტეტი დღეს ახალ სასწავლო წელს იწყებენ.

წარმატებით დაგვეგვირგვინებინოთ იგი, ძვირფასო მეგობრებო!



სურათზე: თბილისის ახალი 130-ე საშუალო სკოლა დიღმის მასივში.
ფოტო ს. კილაძისა.

## ამხ. ე. ა. შევარდნაძე ეწვია თბილისის სკოლებს ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ

31 აგვისტოს. ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, რომელსაც ახლდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გ. სტურუა, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი, ეწვია თბილისის ზოგიერთ სკოლას. ისინი იყვნენ 41- და მე-7 საშუალო სკოლებში, სადაც ნახეს კარგად მოწყობილი საკლასო ოთახები, კაბინეტები, დაათვალიერეს მოსწავლეთა ხელით შექმნილი საბრძოლო დიდების მუზეუმები. დიდი ინტერესი გამოიწვია აქ შეკრებილმა ექსპონატებმა და სტენდებმა, დიდი სამამულო ომის მონაწილე ყოფილი მოსწავლეებისა და მასწავლებლების ფოტოსურათების სტენდებმა.

ვ. პ. მჟავანაძემ, დ. გ. სტურუამ და თ. ვ. ლაშქარაშვილმა დაათვალიერეს აგრეთვე ახალი უბნები № 130 სკოლა დიღმის მასივში, № 128 — საბურთალოში და № 129 — ლენინის რაიონში, სადაც მოსწავლეები პირველად მიუსხდებიან მერხებს. ამ ახალ დიდ შენობებში შექმნილია ყველა პირობა ბავშვების წარმატებითი სწავლისა და აღზრდისათვის.

ვ. პ. მჟავანაძე ესაუბრა მასწავლებლებს, მოსწავლეთა მშობლებს, აღნიშნა სამშენებლო სამუშაოთა კარგი ხარისხი და მთელი რიგი შენიშვნები მისცა მშენებლებს. მან სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს წარმატებანი უსურვა ახალ სასწავლო წელს. (საქინფორმი).

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტში

1965 წლის 1 სექტემბრიდან საშუალოდ 25 პროცენტით მცირდება ბამბის ქსოვილების სასკოლო ფორმის საცალო ფასები.

## ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო გვინეის რესპუბლიკის ელჩი

30 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო გვინეის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მორის კამარა მისივე თხოვნით.

ლ. ი. ბრეჟნევსა და მ. კამარას შორის მეგობრული საუბარი გაიმართა. (საქინფორმი).

## ახალი ბროშურა

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მუშაობის სტენოგრაფიული ანგარიში

გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წლის) პლენუმის მუშაობის სტენოგრაფიული ანგარიში.

წიგნში შეტანილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ და კამათში გამოსვლები, პლენუმის დადგენილებანი: „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ და „1965 წლის 1-5 მარტის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრის შედეგების შესახებ“. (საქინფორმი).

## გამალ აბდელ ნასერი სსრ კავშირში

30 აგვისტოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში მოჰამედ მურად ღალებმა დარბაზობა გამართა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის პატივსაცემად.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეთაურთან ერთად დარბაზობაზე იყვნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც პრეზიდენტს ახლავან საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიქოიანი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. მიურისეპი და სხვა ოფიციალური პირნი.

სტუმრებს შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობის დროს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა გულთბილი მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

დარბაზობამ გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

**მოსკოვი**, 31 აგვისტო. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარე გამალ აბდელ ნასერი და მასთან ერთად საბჭოთა კავშირში ჩამოსული სხვა ეგვიპტელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები დღეს ეწვივნენ ჯავშანსატანკო ჯარების ლენინის ორდენოსან წითელდროშოვან სამხედრო აკადემიას.

პრეზიდენტს ახლდნენ ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი პ. ა. პოლუბოიაროვი, საბჭოთა კავშირის ელჩი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ვ. პ. ეროფეევი, აგრეთვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში მოჰამედ მურად ღალები.

საპატიო სტუმარს გულთბილად მიესალმა აკადემიის უფროსი, სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი პ. ა. მარკოვი.

გამალ აბდელ ნასერმა აკადემიის საპატიო სტუმართა წიგნში დატოვა ჩანაწერი, რომელშიც რწმენა გამოთქვა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხებისა და არმიების ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეთაურმა ახალი წარმატებანი უსურვა აკადემიის პირად შემადგენლობას.

**31 აგვისტოს** კრემლში გაიმართა საბჭოთა ხელმძღვანელების დასკვნითი საუბარი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტთან, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარესთან გამალ აბდელ ნასერთან.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარში მონაწილეობდნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიქოიანი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. გრომიკო, რ. ი. მალინოვსკი და სხვები.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ საუბარში პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერთან ერთად მონაწილეობდნენ: არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ზაქარია მოჰი ედ-დინი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ანვარ ელ-სადატი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე საგარეო საქმეებში დოქტორი მაჰმუდ ფავზი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაჰმუდ რიადი და სხვები.

საუბრის დროს გაგრძელდა აზრთა გაზიარება იმ საკითხებზე, რომლებიც წინათ განიხილეს. საუბარი გულთბილ და გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა.

**სსრ** კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ 31 აგვისტოს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის გამალ აბდელ ნასერის პატივსაცემად.

საპატიო სტუმართან ერთად დარბაზობაზე იყვნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც პრეზიდენტთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირში, აგრეთვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში მოჰამედ მურად ღალები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. მიურისეპი და სხვა ოფიციალური პირნი.

სტუმრებს შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობამ დიდი გულითადობის, გულთბილობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. (საქინფორმი).

ჩვენი დიადი

## ღვინომ განსაჯოს გამარჯვებული

### ყურძნის და შამპანური ღვინოებისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსი

…ფიროსმანისეულ ლაჟვარდოვან ცაში აზიდულა თეთრი კამკამა მონუმენტი — „ქართლის დედა“, რომელსაც საქართველოს სიმბოლო უწოდეს…. დედა მებრძოლი, დედა სტუმართმოყვარე. დღეს იგი მასპინძელია მზით გამთბარი ყურძნის ღვინოების, შამპანურებისა და კონიაკების შეჯიბრების — საერთაშორისო კონკურსის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებისა. შეკრების ადგილზე არჩევანი შემთხვევითი როდია. საბჭოთა კავშირი მსოფლიოში მეღვინეობის პროდუქციის ხომ ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია, ხოლო საქართველო მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი კერა.

და აი დღეს თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის ორ ვრცელ სადეგუსტაციო დარბაზში, სპეციალურად გაწყობილ მაგიდებს მოუსხდება 23 „მკაცრი ადამიანი“ — 17 უცხოელი და 6 საბჭოთა მეღვინე, რათა საჯაროდ „აკურთხონ“ ბახუსის „შვილნი“.

გუშინ, დეგუსტაციის წინადღეს, ჩვენ მოწმენი გავხდით ქარხანაში უკანასკნელი მზადებისა.

წალკოტს დამსგავსებია საწარმოს კარმიდამო. ქარხნის მთავარი კორპუსის მაღალ სვეტებზე თეთრი ტილოს ტრანსპარანტი კეთილ მობრძანებას უსურვებს დეგუსტაციის მონაწილეთ. თუმცა აქ ყველაფერი დიდი ხანია მზად არის, მაგრამ კონკურსის მესვეურნი მაინც ვერ ისვენებენ და ერთხელ კიდევ საბოლოოდ ამოწმებენ მზადებას.

აქ არიან საერთაშორისო კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე, მოსკოვის კვების მრეწველობის ინსტიტუტის კათედრის გამგე პროფესორი მ. გერასიმოვი, მისი მოადგილე, „სამტრესტის“ მმართველის მოადგილე ე. ჩაფიძე, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს მთავარი სპეციალისტი მეღვინეობაში პ. რუდენკო, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კვების მრეწველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ორეშკინი, „სამტრესტის“ მთავარი მეღვინე გ. თუშმანიშვილი, ქარხნის დირექტორი გ. ახვლედიანი და სხვები.

შევდივართ პირველ სადეგუსტაციო დარბაზში. იგი საგამოცდო აუდიტორიას დამსგავსებია. თორმეტ, ერთიმეორისაგან დაშორებულ მაგიდაზე აწყვია სხვადასხვა ფორმის სპეციალური სადეგუსტაციო რამდენიმე ჭიქა, სხვადასხვა სახელმწიფოს ვიმპელები, ავტოკალამი, ასანთი და… სანთელი.

მალე შევიტყეთ ყოველივე ამის დანიშნულებაც.

— ღვინის ბოთლებს, — გვიხსნის ჟიურის თავმჯდომარის მოადგილე ე. ჩაფიძე, — დეგუსტატორს მოუტანენ, რასაკვირველია უეტიკეტოდ. მასზე აღნიშნული იქნება პირობითი ციფრები, ისე რომ დეგუსტატორს არ ეცოდინება, რომელ ღვინოს სინჯავს.

— ალბათ სრული ობიექტურობის დასაცავად, არა?

— სავსებით სწორია.

— რამდენ საათს გაგრძელდება დეგუსტაცია?

— ათიდან თხუთმეტ საათამდე, შემდეგ ორი საათი შესვენება და კვლავ მუშაობა.

— ამ ხნის განმავლობაში ასეთ „ხელჩართულ“ სმას კარგი ქართული პურ-მარილი დამშვენდებოდა.

— სამწუხაროდ, მასპინძლობის ჩვენს გულუხვ ტრადიციას ამჯერად უნდა ვუღალატოთ. ბუნებრივია, სხვადასხვა ღვინის ოდნავი მოწრუპვაც ადუნებს გემოს ორგანოების მგრძნობიარობას. ამიტომ ნეიტრალიზაციის მიზნით დეგუსტაციის დროს ჟიურის წევრებს მიართმევენ მხოლოდ ცივ საუზმეს: პურს, ყველსა და ვაშლს. დეგუსტატორები შეისწავლიან სასმელების გემოს, გამჭვირვალობას, სისქეს და აი ამ სანთლის შუქზე ფერს. რა თქმა უნდა, ნათურის გამოყენება შეიძლებოდა, მაგრამ სანთელი დეგუსტატორებს ტრადიციად შემორჩათ.

საუბრიდან შევიტყვეთ, რომ ღვინოს უნდა ახასიათებდეს მისი ტიპიურობა, ე. ი. ჯიშობრივი თვისებები. მაგალითად, სამარკო ღვინოებს — ბუკეტი, ორდინარულებს — არომატი. ორგანოლეპტური შეფასების ყველა ამ მონაცემს დეგუსტატორი ჩაწერს სპეციალურ ბლანკებში, რომელსაც შემდეგ ჟიურის ჩააბარებს.

ვიღაცამ კედელზე მიმაგრებული ტაბლო აანთო. გამომთვლელ-ამომხსნელი მანქანის დახმარებით ჟიურის წევრები იანგარიშებენ ბალებს. ტაბლოზე კი მოცემული ნიმუშების მიხედვით აინთება შედეგი — ქულების ჯამი.

ღვინისა და კონიაკის შეფასება ბალიანი სისტემით მოხდება. ოქროს მედალი მიენიჭება ღვინოებს, რომლებიც მოაგროვებენ 18,01-20 ბალს, ვერცხლისა — 16,01-18 ბალს, ბრინჯაოს მედალი — 15,01-16 ბალს.

კონიაკების ჯილდოები განისაზღვრება შემდეგი წესით: 4,51-5 ბალი — ოქროს მედალი, 3,76-4,5 ბალი — ვერცხლის მედალი; 3,01-3,75 ბალი — ბრინჯაოს მედალი; 2,01-3 ბალი — დიპლომი.

თბილისის კონკურსში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიების სასმელები: თეთრი და წითელი საერთო სუფრის ღვინოები; თეთრი და წითელი სამარკო სუფრის, მოტკბო, თეთრი და წითელი შემაგრებული სადესერტო ღვინოები, შუშხუნა, გაზიანი ღვინოები, შამპანური ღვინოები და კონიაკები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული შამპანური პირველად მიიღებს მონაწილეობას ასეთ საერთაშორისო კონკურსში.

კონკურსი დაიწყო, რომელი ღვინო, რომელი კონიაკი გაიმარჯვებს?

დაე ღირსეულმა ატაროს თბილისური ემბლემა!

ო. აროზელიძე.



დიდი კონკურსის „პრელუდია“. შამპანური ღვინოების ქარხნის თანამშრომლები: ც. ღერკენაშვილი (წინა პლანზე), ლ. ჩაფიძე (მარცხნივ) და ვ. ბოლქვაძე სადეგუსტაციო დარბაზის გაწყობისას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## მიტინგი კრემლის დიდ სასახლეში

31 აგვისტოს საბჭოთა კავშირში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის ყოფნის გამო კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობის მიტინგი.

დარბაზი მორთულია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით.

მიტინგის მონაწილენი მხურვალედ მიესალმნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. მიქოიანს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, ა. ნ. შელეპინს, პ. ნ. დემიჩევს, დ. თ. უსტინოვს, ი. ვ. ანდროპოვს.

შეკრებილთა ტაში გაისმა, როცა პრეზიდიუმში შემოვიდნენ გამალ აბდელ ნასერი, მასთან ერთად ჩამოსული ეგვიპტელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები.

მიტინგი გახსნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. პ. ისაევმა. იგი გულთბილად მიესალმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენლებს.

შესრულებულ იქნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

სიტყვა ეძლევა კომუნისტური შრომის დამკვრელს, ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის ზეინკალს, „სსრ კავშირ-არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის“ მეგობრობის საზოგადოების გამგეობის წევრს ი. ტ. ნიკულნიკოვს. შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს სოციალისტური შრომის გმირმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის „ჰიდროპროექტის“ მთავარმა ინჟინერმა ნ. ვ. რაზინმა, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა მ. ნ. კოზინამ.

შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ი. მიქოიანის გამოსვლას.

დარბაზში კვლავ ოვაციამ იქუხა, როცა ტრიბუნაზე ავიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარე გამალ აბდელ ნასერი.

კრემლის დიდ სასახლეში გამართული მიტინგი გადაიქცა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხის ურღვევი ძმური მეგობრობის მკაფიო მანიფესტაციად. (საქინფორმი).

## ამბროლაურელთა წარმატება

ამბროლაურის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 28 აგვისტოსათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ცხრა თვის გეგმა: ხორცისა — 100,2 პროცენტით, რძისა — 100,3 პროცენტით. კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით. სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება. (საქინფორმი).

# ისწავლე, სწავლის მძებნელო!

ახალი სასწავლო წლის წინ ჩვეულებისამებრ ყველას აინტერესებს საკითხი: რა იქნება ახალი სკოლის ცხოვრებაში?

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, გვსურს ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ როგორ დაამთავრეს გასული სასწავლო წელი რესპუბლიკის სკოლებმა.

ცნობილია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე სკოლებში განხორციელებული საწარმოო სწავლება დაკავშირებული იყო მრავალ სიძნელესთან, ხოლო მისი არასწორი ორგანიზაცია ხშირად უარყოფით გავლენას ახდენდა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხზე, განსაკუთრებით ამ მიმართულებით სკოლების მუშაობის პირველ წლებში. გარდაქმნებით გატაცებული სკოლების ნაწილმა ერთგვარად შეასუსტა ყურადღება მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებისადმი.

სწორი არ იქნებოდა უარგვეყო ის დადებითი, რასაც მიაღწიეს სკოლებმა ცხოვრებასთან, ნაყოფიერ შრომასთან სწავლების კავშირის განხორციელების პროცესში. სადავო არ არის, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ პრაქტიკული უნარითა და ცოდნით აღჭურვილი მოსწავლეები უფრო ხალისით ჩაებნენ წარმოებაში, შეიყვარეს შრომა.

მაგრამ სკოლების მუშაობის ექვსი წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განხორციელების ფორმა ყოველთვის როდი იყო მარჯვე და სწორი, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის მოსწავლეთა პროფესიული მომზადების დაკისრება მიზანშეუწონელია. მით უფრო, როცა არსებობს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სპეციალური სისტემა, რომელიც კარგად უძლვება ამ ამოცანას.

მხედველობაში გვქონდა რა ეს, 1962-1963 სასწავლო წლიდან მნიშვნელოვნად შევამცირეთ საწარმოო სწავლებისათვის გათვალისწინებული დრო, გავადიდეთ საათების რაოდენობა ცალკეულ დისციპლინებში.

[…]

# კეთილი იყოს!..

თ. ლაშქარაშვილი,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

[…]

# ხალხის სიყვარულით

საუბარი აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრთან ამხ. ბ. თარბასთან

გუშინ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი ეწვია აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრს ამხ. ბ. თარბას და სთხოვა ეამბნა, თუ როგორ შეხვდა აფხაზეთი ახალ სასწავლო წელს, როგორია სასკოლო ცხოვრების საერთო სურათი? ამ კითხვაზე ამხ. ბ. თარბამ შემდეგი გვიამბო:

— ახალ სასწავლო წელს ყოველმხრივ მომზადებული რომ შევხვედროდით, აფხაზეთში […]

[…]

# გზის გამკვალავნი

საუბარი აჭარის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილესთან ამხ. გ. ქათამაძესთან.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აჭარამ განათლებისა და კულტურის დარგში უდიდეს წარმატებებს მიაღწია. რევოლუციამდე მთელ ოლქში ოცამდე სკოლა იყო, დღეს 413 ზოგადსაგანმანათლებლო 33 მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლა და 7 სკოლა-ინტერნატია, რომლებშიც 58 ათასამდე ბავშვი სწავლობს. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ეწევა 5 ათასზე მეტი პედაგოგი.

ბევრი რამ გაკეთდა უკანასკნელ წელს. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში აჭარის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. გ. ქა- […]

[…]

## მოგილოცავთ!

ახალგაზრდა თაობა ჩვენი სიამაყეა. ჩვენ ვამზადებთ მას გონიერი შრომითი ცხოვრებისათვის. და აი ჩვენი მზიური რესპუბლიკის ათეულ ათასობით პატარები, ჭაბუკები და ქალიშვილები იწყებენ დღეს სასწავლო წელს. მრავალთათვის პირველია იგი ცხოვრებაში — პირველი საფეხურია მეცნიერების ნათელი მწვერვალებისაკენ.

დღევანდელ სასიხარულო დღეს მინდა მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება მოსწავლეებს, სტუდენტებს, პედაგოგებს, პროფესორ-მასწავლებლებს და ვუსურვო მათ წარმატებანი სწავლასა და სწავლებაში, ცოდნის დაუფლებასა და მეცნიერების ახალი მწვერვალების დაპყრობაში.

დაე მუდამ ამართლებდეთ პარტიის, მთავრობის, ხალხის მშობლიურ მზრუნველობას.

აკადემიკოსი
ნ. მუსხელიშვილი,
სოციალისტური შრომის გმირი.

## ბეჯითად, შეუპოვრად

ჩვენი სამშობლოს ბედნიერო ბავშვებო!

დღეს პირველი სექტემბერია. იწყება ახალი სასწავლო წელი. ბევრ თქვენგანს ახალი სკოლა დახვდება. მასწავლებლები ხომ გულითად, ხელგაშლით შეგეგებებიან.

დააფასეთ პარტიისა და მთავრობის, მშობლებისა და მასწავლებლების ამაგი, ისწავლეთ ბეჯითად, შეუპოვრად, მოთმინებით, დაეუფლეთ მეცნიერების საფუძვლებს.

მაშ გიყვარდეთ სწავლა და შრომა, იარეთ ნათელი გზით!

გ. ბაქრაძე,
ახალი ითხვისის მაღაროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.
ჭიათურა.

## ასახელე სამშობლო!

სკოლის ცხოვრებაში შემოდგომა სასწავლო წლის გაზაფხულია. აი დადგა პირველი სექტემბერი, დაირეკა პირველი ზარი, მერხებს შემოუსხდნენ პატარები, სწავლას დაეწაფნენ ახალგაზრდები. ეს დიდებული დღეებია, სიხარულისა და ბედნიერების დასაწყისია!

დაეუფლეთ ცოდნას, გიყვარდეთ თქვენი სოციალისტური სამშობლო, თქვენი სოფელი, ასახელეთ იგი!

ა. კობაიძე,
წითელწყაროს რაიონის ზემოქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## რა ბედნიერი ხართ!

მოგილოცავთ, ჩემო საყვარელო პატარა მეგობრებო, პირველი სექტემბრის ზარის წკრიალს.

მოგილოცავთ სასწავლო ახალწელს, ახალ სკოლის შენობებს, ახლად შეღებილი მერხების ელვარებას, სტამბიდან ახლად გამოსული სახელმძღვანელოების საამო სურნელებას...

რა ბედნიერი ხართ!..

იწყება თქვენი ახალი შეხვედრა მეცნიერების დიდ ოკეანესთან. გისურვებთ სანაპიროდან მარჯვედ შეგეცუროთ მის ტალღებში. აწმყო და ახლო მომავალი მეცნიერებას ეკუთვნის: მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას, ახალ, სულ ახალ მეცნიერებებს, რომელთაც კაცობრიობა ჯერ კიდევ არ იცნობდა.

იწყება თქვენი ხელახალი შეხვედრა ჩვენს მწერლობასთან, თქვენს სულიერ მასწავლებლებთან, კლასიკოსებთან, თანამედროვე მწერლებთან. გისურვებთ მათს ღირსეულ შეგირდობას. ისინი მიგასწავლიან თქვენ გზას კაცური კაცობისაკენ, მაღალი ადამიანურობისაკენ.

მოგილოცავთ, მოგილოცავთ...

ი. აბაშიძე,
პოეტი-აკადემიკოსი.



განსაკუთრებული სიხარული სუფევს დღეს დედაქალაქის 26 კომისრის რაიონის მეორე ნავთლუღის ტერიტორიაზე. აქ, ნავთლუღის ქუჩაზე, ავეჯის კომბინატის ახლოს ახალი მძლავრი მაჯისცემა დაიწყო — მეცადინეობას შეუდგა 82-ე სკოლა. სასიხარულო ის არის, რომ ამ სკოლამ უწინდელი ერთსართულიანი ბარაკული შენობიდან გადმოინაცვლა „მთავართბილისმშენის" № 6 სამშენებლო სამმართველოს მიერ აშენებულ კეთილმოწყობილ ოთხსართულიან შენობაში. ამ სკოლაში დღეს ახალ მერხებს მიუსხდება 880 მოსწავლე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ჩემს მოწაფეებს

მოვდივარ თქვენთან
ანკარა წყაროდ
და წყაროსავით
გეჩხრიალებით:
თქვენთანა ვშრომობ,
ვსწავლობ, და ვხარობ...
სულს მინათებენ
თქვენი თვალები!

უთქვენოდ ყოფნა
გაყინვას ნიშნავს —
თქვენი სულის ბაღს
ვზრდი ნეტარებით:
თქვენთვის დაშვრომით
წყაროს რა მიშავს...
თავს გევლებით და
გენაცვალებით!

შალვა გიგაშვილი,
მასწავლებელი.

## იკაშკაშეთ, ჩირაღდნებო!

დღეს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მუშაობას იწყებს 50 ახალი სკოლა

ლამაზია საქართველოს ყველა დილა, მაგრამ სულ სხვა ლაზათი აქვს პირველი სექტემბრის დილას, განთიადის სინათლით, ბავშვთა ჟივილ-ხივილით, ზარის წკრიალით რომ ივსება.

რამდენ პატარა გულში ჩაფრინდება პირველად სექტემბრის ფრთაშესხმული დილა! […] ათასობით გოგონები და ბიჭუნები თავიანთ სიცოცხლეში პირველად ისმენენ სკოლის ზარის წკრიალს:

— მოდით, მოდით პატარებო, გელოდებათ სკოლის კარი!

— ჩვენო სკოლავ, მერცხლის ფრთებით მხოლოდ შენკენ მოვიჩქარით! — სიმღერით გამოდიან ეზოებიდან ცუგრუმელები.

დღეს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გაიხსნება 50 ახალი სკოლა — ახალი ჩირაღდნები. ისინი შეემატებიან ძველ ჩირაღდნებს. ეს ახალი სკოლები ერთდროულად ჩაიკრავენ გულში ოცი ათას ბავშვს.

დიახ, ახალი სკოლები უკვე აციმციმებენ თვალებს რუსთავსა და წინანდალში, თბილისსა და ცხინვალში, ძეგვსა და მუხრანში, ხეთასა და კოხნარში...

იკაშკაშეთ ჩირაღდნებო, პატარების გულში თესეთ და აღვივეთ ცოდნის თესლი!

ს. ხვამლელი.



# ჯუმათის ლამპარი

[…]

# საზღვარგარეთის ცხოვრება

## მეგობრობის ვითარებაში

კაირო, 30 აგვისტო. (საკდესი). [illegible] ...პრეზიდენტ ნასერის ვიზიტს მოსკოვში, აღნიშნავს ჟურნალი „როზ ელ-იუსეფი", განსაკუთრებით დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, რაც იმით გამოიხატება, რომ ეს შეხვედრა ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრულ ურთიერთობას, რასაც საფუძვლად უდევს დიდი ურთიერთგაგება.

## სოციალისტურ ქვეყნებში



იუგოსლავიის დედაქალაქის ქუჩებში დღითიდღე სულ უფრო მეტი მანქანა გამოდის. ასეთი სახე აქვს ახლა მარშალ ტიტოს სახელობის ქუჩას ბელგრადში.
ფოტო ტანიუგ-საკდესისა.

### მილსადენი შენდება

მთავრდება ნავთობსადენ „მეგობრობის" ჩეხოსლოვაკიის მონაკვეთის მეორე რიგის მშენებლობა. ეს ახალი მაგისტრალი, რომლის სიგრძე 450 კილომეტრია, დასავლეთ სლოვაკეთს დააკავშირებს ჩრდილოეთ ჩეხეთთან.

ნავთობსადენი ერთდროულად გაჰყავთ ორი მიმართულებით. ტრასა ისეთი ვარაუდით შენდება, რომ ნავთობსადენის მცირე განშტოებათა საშუალებით ნავთობი მიიღოს რესპუბლიკის ყველა ნავთობგადასამუშავებელმა საწარმომ.

ნავთობმაგისტრალის „მეგობრობის" პირველი ჩეხოსლოვაკიის მონაკვეთი უკვე სამ წელიწადნახევარია მოქმედებს. ამ ხნის მანძილზე ჩეხოსლოვაკიამ სსრ კავშირიდან ამ ნავთობსადენით მიიღო რამდენიმე მილიონი ტონა ვოლგის ნავთობი. როცა მეორე რიგის მშენებლობა დამთავრდება, ნავთობსადენის სიგრძე ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე 850 კილომეტრს მიაღწევს.

### იანოშ კადარი იუგოსლავიაში ჩავიდა

ბუდაპეშტი, 31 აგვისტო. (საკდესი). იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივნის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ-ტიტოს მოწვევით დღეს იუგოსლავიაში ჩამოვიდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, იუწყება უნგრეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი ლუბლიანიდან. ი. კადარი იუგოსლავიაში გაატარებს თავისი შვებულების ნაწილს.

ლუბლიანის აეროდრომზე უნგრელ სტუმარს შეხვდნენ ი. ბროზ-ტიტო და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწენი.

### საჩუქრები მოსწავლეებს

რუმინეთში ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის — 1 სექტემბრისათვის მოსწავლეებმა 3.186 ახალი საკლასო ოთახი მიიღეს. გამომცემლობებმა 211 მილიონი სასწავლო სახელმძღვანელო გამოუშვეს.

გრამფირფიტების ქარხანა „ელექტროკორდმა" მოსწავლეთა დასახმარებლად მოამზადა რუმინული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების ჩანაწერები, თანამედროვე მწერალთა ნარკვევები და მოთხრობები ცნობილ მსახიობთა შესრულებით. გრამფირფიტები მოსწავლეებს გააცნობენ რუმინული ხალხური მუსიკის განვითარების ისტორიას, ცნობილ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

(აას-აჯერპრესი).

### მოსალოდნელი ვიზიტი

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიწვევით მიმდინარე წლის სექტემბერში ბულგარეთში ოფიციალურ ვიზიტად ჩავა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ნ. ჩაუშესკუს მეთაურობით.

### განათლების წარმატება კორეაში

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის 9.190 სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 2.556 ათასი კაცი.

სახელმწიფო ყოველწლიურად დიდ თანხებს აბანდებს სასწავლებლების მშენებლობისათვის.

მაგალითად, შარშან კაპიტალდაბანდება სასკოლო შენობების მშენებლობისათვის ერთნახევარჯერ გაიზარდა 1956 წელთან შედარებით. მარტო 1964 წელს აშენდა ახალი 377 დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი.

### მეგობრული ურთიერთობა

რილის წარმტაცი მთების გზის მშენებლობაში ბულგარელ ქალიშვილებთან და ჭაბუკებთან ერთად მონაწილეობენ 14 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იუგოსლავიის, უნგრეთის, კვიპროსის, სენეგალის, კუბისა და კენიის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 27 აგვისტოს ახალგაზრდა მშენებელთა საერთაშორისო ბრიგადას ესტუმრნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლუჩეზარ ავრამოვი.

## „უნიტას" ფონდისათვის

რომი, 30 აგვისტო (საკდესი). [illegible] 28 აგვისტოს ... 828.920 ლირა ... [illegible]

## ინდონეზია უარს ამბობს

ჯაკარტა, 30 აგვისტო (საკდესი). [illegible] ...გილემ სელამატ ჩიტინგმა.

ეს ბანკი, რომელშიც მთავარ როლს შეერთებული შტატები შეასრულებენ, თქვა მან, უეჭველია კოლონიალიზმის ახალი იარაღი იქნება და ხელს შეუშლის აზიის ქვეყნების დამოუკიდებელ განვითარებას.

## დაპატიმრებანი სეულში

ნიუ-იორკი, 31 აგვისტო. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს სეულელი კორესპონდენტი იუწყება, სამხრეთ კორეის პოლიციამ დააპატიმრა 90 სტუდენტი, რომლებსაც ბრალად ედებათ დემონსტრაციების მოწყობა იაპონია-სამხრეთ კორეის ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ.

## კვლავ მოითხოვენ

ბონი, 30 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელები ფართოდ იყენებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინასაარჩევნო კამპანიას იმისათვის, რომ ატომური იარაღი მოითხოვონ.

ამ ბოლო დღეებში უკვე მეორედ მოითხოვა ატომური იარაღი ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარემ შტრაუსმა. დიუსელდორფის გაზეთ „მიტაგისათვის" მიცემულ ინტერვიუში დასავლეთ გერმანიის ყოფილმა სამხედრო მინისტრმა მოითხოვა, რომ გადაისინჯოს „ხელშეკრულების დებულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ უარი თქვას ატომურ იარაღზე". შტრაუსმა განაცხადა, რომ „1952 და 1954 წლებში ატომური იარაღის წარმოებაზე უარის თქმა გამოწვეული იყო იმ პერიოდის პოლიტიკური, სტრატეგიული და ტექნიკური პირობებით".

## საგულისხმო წინადადებები

ბერლინი, 31 აგვისტო. [illegible] ...ნოპოლიათა და მსხვილი ბანკების ძალაუფლება და დემოკრატიული უფლებანი მიენიჭოთ დასავლეთგერმანელ მშრომელებს. კომიტეტის წინადადებაა აგრეთვე განხორციელდეს დემოკრატიული გარდაქმნები დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო აპარატში, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

სხდომის შემდეგ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გერმანელმა და უცხოელმა ჟურნალისტებმა. პრეს-კონფერენციაზე კომიტეტმა წამოაყენა თავისი წინადადებანი.

## თეთრი სახლის ჩარევის შემდეგ

ვაშინგტონი, 31 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს პრეზიდენტმა ჯონსონმა გამოაცხადა, რომ რვა დღით გადაიდო გაფიცვა ამერიკის შეერთებული შტატების მეტალურგიულ მრეწველობაში, რომელიც მეფოლადეთა პროფკავშირების გადაწყვეტილებით უნდა დაწყებულიყო დღეს შუაღამისას. ჯონსონმა განაცხადა, რომ პროფკავშირთა და მეწარმეთა წარმომადგენლები დათანხმდნენ კიდევ რვა დღის განმავლობაში აწარმოონ მოლაპარაკება მეტალურგიულ მრეწველობაში არსებული კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ. თეთრი სახლი მეტალურგიული მრეწველობის კონფლიქტში ჩაერია მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში მასობრივი გაფიცვის საფრთხე სავსებით რეალური გახდა. პროფკავშირთა და ათი უდიდესი მეტალურგიული კომპანიის წარმომადგენლების ხანგრძლივი მოლაპარაკება ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადების შესახებ ჩიხში მოექცა. მეწარმეებს არ უნდათ მუშებს დაუთმონ, მუშები კი არ თმობენ თავიანთ მოთხოვნებს შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ. მთავრობის შუამავლებმა ვერ შეძლეს მხარეთა პოზიციების დაახლოება.

თეთრ სახლში დიდად შეშფოთებული არიან იმასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება მოხდეს მეტალურგიულ მრეწველობაში გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 450 ათასი მუშა. პრეზიდენტი ჯონსონი ცდილობს რადაც უნდა დაუძლეს თავიდან ბიცილოს გაფიცვის საფრთხე და ამიტომ გუშინ გაგზავნა თავისი პირადი თვითმფრინავი პიტსბურგს, სადაც მოლაპარაკება მიმდინარეობდა, რათა თვითმფრინავით ვაშინგტონს ჩამოსულიყვნენ პროფკავშირთა და კომპანიათა წარმომადგენლები. ნაშუადღევს იგი წარმომადგენელ ე ბ ს შეხვდა თეთრ სახლში და განაცხადა, რომ გაფიცვას „ტრაგიკული შედეგები" მოჰყვება ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკისათვის და გააძნელებს თავდაცვის პროგრამის შესრულებას. პრეზიდენტმა მათ წაუკითხა ამერიკის ერთ-ერთი სამხედრო უწყების მოხსენება. თეთრ სახლს არ დაუსახელებია ეს უწყება. მოხსენებაში ნათქვამია, რომ „არ შეიძლება არც ერთი დღის მოცდენა წარმოებაში".

ჯონსონმა ორივე მხარეს მოუწოდა პირველ რიგში გაითვალისწინონ „ეროვნული ინტერესები" და დაუთმონ ერთმანეთს, რათა დაიდოს შეთანხმება.

მეტალურგიულ მრეწველობაში გაფიცვის რვა დღით გადადების განცხადება, რომელიც ჯონსონმა გამოაქვეყნა, გამოცხადდა პროფკავშირებისა და მეწარმეების წარმომადგენელთა ვაშინგტონის შეხვედრის შემდეგ, რომელიც ექვს საათს გაგრძელდა.

## კრიზისი გრძელდება

ათენი, 30 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ცირიმოკოსმა მეფე კონსტანტინეს თხოვნა გადასცა თავისი მთავრობის გადადგომის შესახებ. მეფე დათანხმდა გადადგომას, მაგრამ ცირიმოკოსს დაავალა დროებით შეასრულოს პრემიერის მოვალეობა. ცირიმოკოსის მთავრობის დამარცხება, პოლიტიკურ მიმომხილველთა აზრით, ბოლოს უღებს 15 ივლისის გადატრიალების ორგანიზატორთა შემდგომ ცდებს შექმნან მთავრობა, რომელიც დაეყრდნობა მემარჯვენე პარტიებს.

ერთად-ერთი გონივრული და რეალური გადაწყვეტილებაა პარლამენტის საყოველთაო არჩევნების მოწყობა. ამას მოითხოვენ პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობა, ბერძენი ხალხის უმრავლესობა. რეაქციული წრეები უგულებელყოფენ ამ სამართლიან მოთხოვნას და იმედი აქვთ, რომ გაურკვეველი და დიდი ვადით გადადებენ არჩევნებს, რათა დაცხრეს ხალხის მრისხანება, რომელმაც შეიძლება სამუდამოდ ჩაუკეტოს ხელისუფლების გზა მემარჯვენე ძალებს.

როგორც გაზეთი „ეთნოსი" იტყობინება, მეფე კონსტანტინე უახლოეს ხანებში მოიწვევს სამეფო საბჭოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერები და საბერძნეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრები, და ეცდება შექმნას „ეროვნული თანამშრომლობის" მთავრობა, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ ადგილს დაუთმობს დროებით მთავრობას არჩევნების გამართვისათვის. ამ იდეას მხარს უჭერს პროგრესისტთა ლიდერი მარკეზინისი. მაგრამ ცენტრის კავშირის ლიდერი პაპანდრეუ იმის წინააღმდეგია, რომ სამეფო საბჭოს სხდომებს დაესწრონ ყოფილი პრემიერები ნოვასი და ცირიმოკოსი.

დღეს საღამოს მეფე კონსტანტინე კვლავ მიიღებს ცირიმოკოსს, რათა მასთან ერთად განიხილოს პოლიტიკური სიტუაციები და გამოძებნოს ამ ჩიხიდან გამოსავალი.

## კოლონიზატორები მომწამვლელ საშუალებებს იყენებენ

ალჟირი, 30 აგვისტო. (საკდესი). პორტუგალიელი კოლონიზატორები დიდძალ მომწამვლელ ნივთიერებებს იყენებენ ანგოლის იმ რაიონებში, სადაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალები მოქმედებენ. როგორც ანგოლის პრესისა და ინფორმაციის სააგენტო იუწყება, ამის შედეგად დომბოსისა და კოლუნგო ალტოს რაიონში ბევრი გლეხი მოიწამლა.

## დახმარება დაზარალებულთ

მოგადიშო, 30 აგვისტო. (საკდესი). აქ საზეიმო ვითარებაში სომალის მთავრობას გადასცეს სურსათი და მედიკამენტები, რომლებიც სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირმა გაუგზავნა გვალვის შედეგად დაზარალებულ სომალის მოსახლეობას. საბჭოთა კავშირის საჩუქარი — 140 ტონა ხორბალი, 100 ტონა შვრიის ბურღული, 30 ტონა ბრინჯი, 10 ტონა რძის ფხვნილი, წამლები და სამედიცინო ინსტრუმენტები — სომალიში ჩაიტანა გემმა „ივანე სეჩენოვმა".

## ნაღმები დაუშინეს

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც ამერიკის სააგენტოები სანტო-დომინგოდან იუწყებიან, 29 აგვისტოს ღამით ინტენსიური სროლა ატყდა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებსა და აჯანყებულებს შორის. აჯანყებულთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სამხედრო ხუნტის ჯარებმა აჯანყებულთა პოზიციებს უსაბაბოდ დაუშინეს ნაღმები.

ამერიკის სააგენტოები აღნიშნავენ, რომ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ჯარებმა სროლა აუტეხეს აჯანყებულთა პოზიციებს, თითქოს იმის საპასუხოდ, რომ აჯანყებულებმა ტყვია დაუშინეს პრეზიდენტის სასახლის რაიონს.

## გადადგა გენერალ იმბერტის ხუნტა

ნიუ-იორკი, 31 აგვისტო. (საკდესი). როგორც დომინგოს რესპუბლიკიდან იუწყებიან, გადადგა გენერალ იმბერტის სამხედრო ხუნტა. ხუნტას გადადგომა გუშინ საღამოს გამოაცხადა გენერალმა იმბერტმა თავის გამოსვლაში რადიოთი და ტელევიზიით. მაგრამ მან განაცხადა, რომ ხუნტის წევრები, გარდა მისი ხელმძღვანელისა, კვლავ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, სანამ დომინგოს რესპუბლიკაში შეიქმნებოდეს დროებითი მთავრობა.

## ვიეტნამი იბრძვის

## გაბედული იერიში

პარიზი, 30 აგვისტო. (საკდესი). უკანასკნელი დღე-ღამის მანძილზე სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის რაზმებმა გააძლიერეს იერიში მარიონეტული ჯარების პოზიციებზე მდინარე მეკონგის დელტაში.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, პატრიოტებმა ნაღმები დაუშინეს ქალაქ ნამ-კანს 280 კილომეტრზე საიგონის სამხრეთ-აღმოსავლეთით და დონგთხაის 210 კილომეტრზე საიგონის სამხრეთ-დასავლეთით. 70 კილომეტრზე სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქის დასავლეთით განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ხელთ იგდეს ორი საგუშაგო. ორივე საგუშაგოზე მარიონეტულ ჯარებს დიდი დანაკარგი აქვთ.

## პატრიოტთა წარმატება

ლონდონი, 31 აგვისტო. (საკდესი). დღეს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა იერიში მიიტანეს და ხელთ იგდეს საიგონის ჯარების სამხედრო პუნქტი, რომელიც ქალაქ კუანგ-ნგაის დასავლეთით 10 მილზე მდებარეობს. ქვეგანაყოფს, რომელიც ამ პუნქტს იცავდა, დიდი ზარალი მოუვიდა, იუწყება რეიტერის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი.

## კაამანიოს განცხადება

ჰავანა, 31 აგვისტო. (საკდესი). დომინგოს რესპუბლიკის კონსტიტუციური მთავრობის პრეზიდენტმა ფრანსისკო კაამანიომ განაცხადა, რომ თუ ამერიკის ქვეყნების შეიარაღებული ძალები იერიშს მიიტანენ იმ ჯარების წინააღმდეგ, რომლებსაც კონტროლს უწევს მისი მთავრობა, პასუხად მთელი დომინგოს რესპუბლიკა აღსდგება.

მზად ვართ სიცოცხლე გავწიროთ, თუ ეს საჭირო იქნება სამშობლოს დაცვისათვის, ხაზგასმით აღნიშნა მან. თუ თავს დაგვესხმიან, ჩვენ ვიომებთ დომინგოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

## რა ენაზე ლაპარაკობენ რასისტები

ლოს-ანჯელოსში მომხდარი სისხლისღვრა გაფრთხილებაა იმისათვის, თუ რა შეიძლებმა მოხდეს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფაშისტების გავლენა რომ გაიზარდოს. ჯონ ბერჩის საზოგადოების კალიფორნიის განყოფილებათა მეთაური ამას წინათ იკვეხნიდა, რომ მისი ფაშისტური ორგანიზაციის 2.000-ზე მეტი წევრი ლოს-ანჯელოსში პოლიციელთა ფორმას ატარებს.

პოლიციის ბევრი სხვა მოსამსახურე ეკუთვნის ულტრამემარჯვენე ორგანიზაციას — „მეხანძრეთა და პოლიციელთა ინტერესების დაცვის ასოციაციას". „წესრიგის გუშაგთ" ლოს-ანჯელოსში ხელმძღვანელობს უილიამ პარკერი, პროფაშისტურად განწყობილი კაცი. სწორედ მან მისცა თავის ხელქვეითებს ბრძანება: „ესროლეთ და დახოცეთ!". გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" მას ახასიათებს როგორც ულტრა-კონსერვატორს. განა ეს მოკრძალებული ხერხი არ არის სიტყვა „ფაშისტის" სათქმელად? უილიამ პარკერი თავის საჯარო გამოსვლებში მუდამ თავს ესხმის პროფკავშირებსა და ზანგთა ორგანიზაციებს. მან თავის რასისტულ შეხედულებათა დემონსტრირება პრეს-კონფერენციაზე მოახდინა, როცა მანჭვა-გრეხით განაცხადა, ზანგები მაიმუნები არიანო.

ასეთი ენა იულიუს შტრაიხერის ენაა. ეს ამერიკელ მონათმფლობელთა ენაა, ასი წლის წინათ რომ ცხოვრობდნენ. იგი გამოხატავს რასისტულ იდეოლოგიას, რითაც გამსჭვალულია ფაშისტური ლიტერატურა, რომელიც, ჟურნალისტთა სიტყვით, გამოფენილია განცხადებათა დაფებზე ლოს-ანჯელოსის საპოლიციო უბნებში.

გაზეთ „უორკერის" მთავარი რედაქტორი ჯეიმს ჯეკსონი აცხადებს, რომ ლოს-ანჯელოსის ზანგთა გეტოს მცხოვრებნი ფაქტიურად ისე ცხოვრობენ, როგორც საპყრობილეში. ჯეკსონი ზანგია, და თავისი ხალხის გაჭირვებას იცნობს. მისთვის ნაცნობია ვირთაგვებით სავსე საზიზღარი ჯურღმულები, სადაც ზანგები ცხოვრობენ, ჩამოკონკილ და მშიერ მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა სიღატაკე უმუშევართა ოჯახებში. გაზეთ „უორკერის" მოწინავე სტატიაში ჯეკსონი წერდა, რომ ლოს-ანჯელოსის რაიონ უოტსის ზანგი მოსახლეობის გულისწყრომის აზვირთება იმ „ჩაგრულ ადამიანთა სასოწარკვეთილების სტიქიური ძახილი იყო, რომლებიც გამომწყვდეული არიან სოციალური განკერძოებულობისა და ეკონომიური გაღატაკების საპყრობილეში". არავის უფლება არა აქვს, აღნიშნავს ჯეკსონი, მოელოდეს, რომ „ეს ადამიანები მუდამ უდრტვინველად დარჩებიან სოციალური კიბის ყველაზე დაბალ საფეხურებზე".

ლოს-ანჯელოსის ზანგების, ნიუ-იორკის, ჩიკაგოსა და სხვა დიდი ქალაქების ჯურღმულებში მობინადრე ზანგების სიღატაკეს ვერ დაინახავს ის, ვინც ამერიკის შეერთებულ შტატებს ტურისტთა ოტელის ფანჯრიდან ან გარეუბნებში მდებარე და „შუათანა კლასების" წარმომადგენლებით დასახლებული კოტეჯების ფანჯრებიდან უცქერის. ამ სიღატაკეს მხოლოდ მაშინ გაიგებ, როცა თვალნათლივ ნახავ ჯურღმულებს, სადაც ადამიანთა სამოცი პროცენტი თავს ირჩენს იმ ნამცეცებით, რაც მათ საზოგადოებრივი ქველმოქმედებიდან ხვდებათ.

ცხოვრების ეს ცუდი პირობები ოდნავაც არ გაუუმჯობესებია ეგრეთწოდებულ „სიღატაკის წინააღმდეგ ომის" პროგრამას, რომელიც პრეზიდენტმა ჯონსონმა გამოაცხადა. ეს პირობები ვერ გაუმჯობესდება, წერს გაზეთ „უორკერის" რედაქტორი ჯეკსონი, იმ ვითარებაში, როცა პრეზიდენტი ჯონსონი ქვეყნის ეროვნულ რესურსებს გზავნის „ბინძური საქმეების განსახორციელებლად... ვიეტნამში, სადაც შეერთებული შტატების ჯარისკაცები იმ ადამიანებს ხოცავენ, რომლებიც თავიანთი თავისუფლების დასაცავად აღდგნენ".

მისისიპის შტატში მცხოვრებ ზანგთა წინააღმდეგ, რომლებსაც ნება არ ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, ლოს-ანჯელოსის ზანგებს ხმის უფლება აქვთ. და მათ ისარგებლეს ამ უფლებით — ერთ-ერთი ზანგი აირჩიეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში, ხოლო სამი სხვა — ლოს-ანჯელოსის საქალაქო საბჭოში. ზანგი მოსახლეობის ეს წარმომადგენლები თავიანთი ხალხის უბედურებაზე ვაშინგტონშიც ლაპარაკობენ და საქალაქო საბჭოშიც. მაგრამ ზანგთა შორის უმუშევრობა კვლავ იზრდება, ჯურღმულებში ცხოვრება კი სულ უფრო აუტანელი ხდება. ეს სოციალურ აფეთქებას იწვევს.



„იქ იყავ, სადაც შენი ადგილია!" — ასე ცინიკურად უპასუხებს პოლიციური ამერიკა აღშფოთებულ ზანგებს.
კარიკატურა გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდიდან" (გდრ).

ლოს-ანჯელოსის ზანგებსაც აქვთ თავიანთი ორგანიზაცია სიღატაკესთან საბრძოლველად. მას მუშა მოსახლეობის მოქმედების კომიტეტი ეწოდება. მის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ბევრი ზანგი — პროფკავშირული მოძრაობის აქტივისტები, მაგრამ მათ სამხრეთ კალიფორნიის გავლენიანი მეწარმენი ვერ დააჯერეს მეტი ზანგები მიიღონ სამუშაოზე. სამუშაოს ყველაზე ძლიერი მიმცემნი არიან საავიაციო და სარაკეტო კომპანიები, რომლებიც უდიდეს მოგებას იღებენ ვიეტნამში ომით და კონტროლს უწევენ ეკონომიკის დიდ ნაწილს ლოს-ანჯელოსის რაიონში. ხოლო საჭურვლის მწარმოებელი ზოგი ეს ფირმა მჭიდროდ თანამშრომლობს პოლიციის შეფ უილიამ პარკერთან და ფაშისტურ საზოგადოებებთან.

ლოს-ანჯელოსში მომხდარი აჯანყება გაფრთხილებაა, რომელიც მხედველობაში უნდა მიიღოს პრეზიდენტმა ჯონსონმა. იგი იმას ნიშნავს, როგორც წერს გაზეთ „უორკერის" რედაქტორი, რომ „დემაგოგიური დაპირებებისა და გაცვეთილი ტკბილ-ტკბილი ფრაზების დრო წავიდა".

**არტ შილდსი,**
ამერიკელი ჟურნალისტი.

## სერიოზული გაფრთხილება

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში კიდევ უფრო სასტიკი შეტაკებები მოხდება, ვიდრე ლოს-ანჯელოსში იყო, თუ ფედერალური მთავრობა და ხელისუფლები ადგილზე არ მიიღებენ სასწრაფო ზომებს ზანგთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა ტელევიზიით გამოსვლის დროს, დოქტორმა მარტინ ლუთერ კინგმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ზანგთა მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერის ეს სიტყვები მშვენივრად გამოხატავენ ამერიკელ ზანგთა უმრავლესობის განწყობილებას, რომლებიც ეკონომიურმა გაჭირვებამ, უუფლებობამ და რასისტთა აშკარა ტერორმა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა.

„ჩვენ შეიარაღებული ვართ და აღარ გვსურს მეტის მოთმენა", — ასე გააფრთხილა ქალაქ ნატჩეზში (მისისიპის შტატი) რასისტი ტერორისტები მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის მეორე ხელმძღვანელმა ჩარლზ ევერსმა. იგი არის მისისიპის შტატის ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ეროვნული ასოციაციის განყოფილების თავმჯდომარე. ევერსმა ეს განცხადება გააკეთა მაშინ, როცა ასობით განრისხებული ნატჩეზელი ზანგი მოქალაქე გამოვიდა ქალაქის ქუჩებში და პროტესტს აცხადებდა ადგილობრივი ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელის 53 წლის ჯორჯ მეტკალფეს მოკვლის ცდის წინააღმდეგ. ბომბი აფეთქდა იმ ავტომობილის ძრავის კაპოტის ქვეშ, რომლითაც მეტკალფე სამუშაოდან ბრუნდებოდა. იგი სერიოზულად არის დაჭრილი.

ეს თეთრკანიან რასისტთა საქმეა, რომლებმაც წინათაც სცადეს მეტკალფეს მოკვლა და ტყვია დაუშინეს მის სახლს, საჯაროდ განაცხადა ნატჩეზის მერმა.

## რა არის „თერთმეტი... პლუს"?

ალბათ გაგიგონიათ, როგორ გამოცდებს აბარებენ თერთმეტი წლის ბავშვები ინგლისის სახელმწიფო სკოლებში. ამ გამოცდებს „თერთმეტი... პლუს" ეწოდება. ამ განსაკუთრებული გამოცდების შედეგებზე დამოკიდებულია მიღება ზოგადი ჰუმანიტარული განხრის საშუალო სკოლაში, რომლიდანაც მოსწავლეებს შეუძლიათ მოხვდნენ უნივერსიტეტებში ან სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ეს უკეთესი ვარიანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვები გადადიან არასრულ საშუალო სკოლაში, რომელსაც 15 წლის ასაკში ამთავრებენ და პირდაპირ სამუშაოზე მიდიან.

ამ გამოცდების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც არაერთგზის გაუკრიტიკებია პროგრესულ საზოგადოებრიობას, არის ეგრეთწოდებული „შემოწმება გონებრივი უნარისა". არცთუ დიდი ხნის წინათ გამოცდების დროს ამოსახსნელად მისცეს ასეთი ამოცანა: ცათამბჯენში მცხოვრები კაცი ლიფტით ადის მხოლოდ მეთერთმეტე სართულამდე, შემდეგ კი ფეხით მიდის თავის ბინამდე, რომელიც მე-15 სართულზეა. ბავშვებს უნდა ეპასუხნათ, რატომ ვერ ავიდა იგი ლიფტით თავის სართულამდე.

მე ვცადე ამ კითხვის შემოწმება ჩემს ბავშვებზე, რომლებიც თერთმეტ წელზე გაცილებით უხნესი არიან, მაგრამ ისინი მთლად დაიბნენ. იგივე მოუვიდათ ჩემს ქმარს და მის ამხანაგებს, რომლებიც რკინიგზის დეპოში მუშაობენ. თურმე „სწორი" პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: კაცი ჯუჯა იყო და ლიფტის კაბინაში საჭირო ღილაკს ვერ მისწვდა.

ამ ამოცანამ ფართო დავა გამოიწვია. ბევრს მიაჩნდა, რომ იგი, ისევე როგორც მეტი წილი სხვა ამოცანები გამოცდაზე „თერთმეტი... პლუს", დიდ უპირატესობას აძლევს შეძლებული ოჯახების ბავშვებს, რომლებიც ან თვითონ ცხოვრობენ, ან ნათესავები ჰყავთ ისეთ სახლებში, სადაც ლიფტი იშვიათი როდია. მეტი წილი მუშათა ოჯახები კი ცხოვრობენ ორსართულიან სახლებში, სადაც, ცხადია, ლიფტები არ არის.

გამოცდის „თერთმეტი... პლუს" ნაკლოვანებანი იმდენად აშკარაა, რომ ტექნიკის სამინისტროს საპარლამენტო მდივანმა სნოუმ ლორდთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „არავითარი აზრი არა აქვს იმას, რომ დაჟინებით ვიცავდეთ 11 წლის ასაკში ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო და არასრული საშუალო სკოლების მოსწავლეებად გაყოფის ინგლისურ სისტემას. სასტიკი გამოცდები, რაც ბავშვებს ასეთ ასაკში ჰყოფს, უსამართლობის გრძნობას იწვევს, შეურაცხმყოფელია და საღ გონებას ეწინააღმდეგება".

მაგრამ „თერთმეტი... პლუს" გამოცდებსაც რომ ჩააბარებენ და საშუალო სკოლაში შევლენ, ბავშვები უნივერსიტეტისაკენ მიმავალ გზაზე კიდევ სხვა დაბრკოლებებსაც ხვდებიან. უნდა ჩააბარონ გამოცდები „თხუთმეტი... პლუს", შემდეგ „თვრამეტი... პლუს". მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსწავლენი ყველა ამ გამოცდას გაივლიან, მათ უფლება ეძლევათ ჩააბარონ გამოცდები უნივერსიტეტში. ფაქტიურად ყველა ინგლისელ ბავშვთა 6 პროცენტზე ნაკლებს აქვს უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის შესაძლებლობა.

წმინდა კლასობრივი მიდგომა განსაკუთრებით შესამჩნევია გამოცდებზე „თერთმეტი... პლუს". ვინც გამოცდებს ვერ ჩააბარებს, არასრულ საშუალო სკოლაში შედის. რა კეთილმოსურნედაც უნდა ეკიდებოდნენ ასეთ სკოლებს, ისინი უთუოდ გაცილებით უარესია, ვიდრე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები. არასრულ საშუალო სკოლაში თერთმეტი წლის მოსწავლე გრძნობს თავის არასრულფასოვნობას იმათთან შედარებით, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობენ, ვინაიდან მოახერხეს ჩაებარებინათ გამოცდები „თერთმეტი... პლუს". ყველაზე უკეთეს, ყველაზე თანამედროვე არასრულ საშუალო სკოლაშიც კი მოსწავლეთა რიცხვი თვითეულ კლასში ყოველთვის მეტია, ვიდრე ყოველი სხვა სკოლის კლასებში. ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს უფრო დაბალ დონეზე და ნაკლები მოცულობით ასწავლიან. ყველაზე არასასიამოვნო მდგომარეობაში ექცევიან ბავშვები, როცა ასეთ სკოლებს ტოვებენ 15 ან ზოგჯერ 16 წლის ასაკში. უკანასკნელი კონსერვატიული მთავრობის განათლების მინისტრი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მხოლოდ 40 პროცენტმა ბიჭებმა და 43 პროცენტმა გოგონებმა შეძლეს ასეთი სკოლების დამთავრების შემდეგ მოწყობილიყვნენ, და ისიც არაკვალიფიციურ მუშებად, ვინაიდან არავითარი პროფესიული მომზადება არ ჰქონდათ.

რა თქმა უნდა, შეიძლება მონახოს გამოსავალი ამ მდგომარეობიდან. თუ ბავშმა ვერ ჩააბარა გამოცდები „თერთმეტი... პლუს" და თუ მშრომელებს ბევრი ფული აქვთ, ისინი ყოველთვის შეძლებენ რომელიმე კერძო სკოლაში მიაბარონ. კერძო სკოლაში სწავლა წელიწადში დაახლოებით 500 გირვანქა სტერლინგი ჯდება, რაც აშკარად მიუწვდომელია რიგითი ინგლისელის ოჯახისათვის. როგორც ფაქტები მოწმობენ, კერძო სკოლების ბევრი კურსდამთავრებული შედის უნივერსიტეტში მიუხედავად იმისა, თუ როგორი შედეგი მოჰყვა გამოცდებს „თერთმეტი... პლუს".

**ბრიჯიტ ნიკოლსონი,**
ინგლისელი ჟურნალისტი.

ლონდონი, აგვისტო.

### როგორ სწავლობენ კაპიტალის სამყაროში



კოლუმბიაში ბევრია წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე. მთავრობა სკოლების მშენებლობისა და მასწავლებლების მომზადებისათვის სახსრებს არ ითვალისწინებს.

ამ სურათზეა ეგრეთწოდებული „სკოლა" ქალაქ კალის ერთ-ერთ მუშათა რაიონში. ბავშვები გაკვეთილზე იძულებული არიან ფეხზე იდგნენ ტროპიკული მზის სხივებქვეშ. არ არის სასკოლო შენობა, არ არის ავეჯი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი წიგნები · მოკლედ

## მოგზაურობა... შინიდან გაუსვლელად

გამომცემლობა „ნაუკა" მკითხველებს სასიამოვნო შესაძლებლობას აძლევს იმოგზაურონ... შინიდან გაუსვლელად. წიგნებს სერიისა „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში", რომლებსაც უშვებს აღმოსავლეთის ლიტერატურის მთავარი რედაქცია, ფართო პოპულარობა აქვთ. საინტერესო თხრობა შემაქცევრობა და სიმკვეთრე ფართო შემეცნებით მასალასთან შეხამებით ქმნის იმ ქვეყანასთან პირადი ნაცნობობის ილუზიას, სადაც არასოდეს არ ყოფილხარ.

ასეთ გრძნობას იწვევს გალინა ნავლიცკაიას ამას წინათ გამოცემული წიგნი „იაპონიაში", რომელშიც იაპონოლოგმა ისტორიკოსმა ასახა თავისი მოგზაურობა მას შემდეგ, რაც რამდენიმე თვე იყო იაპონიაში, საფუძვლიანად შეისწავლა მისი დღევანდელი დღე, ყოფაცხოვრება და დღესასწაულები.

წიგნი მეტად კონკრეტულ წარმოდგენას იძლევა იაპონიის ისტორიული წარსულის, მისი კულტურის, მისი ხალხის ეროვნული ხასიათის შესახებ.

უკრაინელი ოლეს ბენიუხი და პენჯაბელი სინგხ დარშანი, ჟურნალ „საბჭოთა ქვეყნის „თანამშრომლები, რომელსაც ინდოეთში გამოსცემს პრესის სააგენტო „ახალი ამბები", თავიანთ წიგნში აშუქებენ მოგზაურობას ინდოეთის ერთ-ერთ უდიდეს შტატში — პენჯაბში. (წიგნის მეორე სახელწოდებაა „მოგზაურობა ხუთი მდინარის ქვეყანაში").

ავტორები აცნობენ მკითხველს სხვადასხვა სოციალური ფენისა და პროფესიის ადამიანებს.

სხვათა შორის, თანაავტორები აპირებენ ასეთივე შემადგენლობით იმოგზაურონ უკრაინაში და დაწერონ ამის შესახებ. (საკდესი).

# ქართველი სტუდენტები მოსკოვის სცენაზე

**ამ დღეებში** მოსკოვიდან დაბრუნდა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლი, რომელიც მიწვეული იყო მოსკოვის ვეტერინარული აკადემიის მიერ.

ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლი ახალგაზრდა კოლექტივია. იგი ამ ექვსი თვის წინათ ჩამოყალიბდა და მალე საინტერესო პროგრამით წარსდგა მაყურებლის წინაშე.

მოსკოვში ანსამბლმა პირველი კონცერტი ვეტერინარული აკადემიის სხდომათა დარბაზში გამართა. კონცერტს 1.200 მაყურებელი ესწრებოდა. აკადემიის ხელმძღვანელობამ კონცერტის დასასრულს დიდი მადლობა გადაუხადა თვითმოქმედ კოლექტივს და მისი წევრები საპატიო სიგელებით დააჯილდოვა.

ვეტერინარული აკადემიის გარდა ანსამბლმა კიდევ ხუთი კონცერტი გამართა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

ამ დროს გამოფენის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ტუბერკულოზისა და ბრუცელოზის საწინააღმდეგო მსოფლიო კონგრესი, რომლის მონაწილეებმა სიამოვნებით ნახეს ქართველ სტუდენტთა კონცერტები; კონცერტზე დამსწრე იუგოსლავიის ქალაქ სარაევოს კულტურის განყოფილების უფროსმა სტეფან ვასილევიჩმა ანსამბლი იუგოსლავიაში მიიწვია 1966 წლის ივლისში.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გამართულ კონცერტებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსული ათასობით მაყურებელი დაესწრო. მრავალი საკონცერტო ნომერი მაყურებელთა ტაშის გრიალში მეორდებოდა. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ცეკვებმა რ. ბახტაძის, ს. დოლიძის, გ. ლეშკაშვილის, ი. ხალვაშის, ჯ. ჩიტიაშვილის, ჯ. რაზმაძის, ც. ლასურაშვილის, ვ. ტარიელაშვილის, ჟ. ფანქველაშვილის მონაწილეობით, აგრეთვე ც. ბურჭულაძის, ო. ლორთქიფანიძის, გ. ხატიაშვილის და ვ. გოგიშვილის შესრულებულმა სიმღერებმა.



გამოფენის ხელმძღვანელობამ ანსამბლის თვითეული წევრი სამახსოვრო სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა, მთლიანად კოლექტივი კი — გამოფენის საპატიო სიგელით.

**ი. გოქაძე,**
**ჯ. ჩიტიაშვილი.**

• • •

**სურათზე:** ცეკვავენ ქართველი სტუდენტები.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტთა ერთი ჯგუფი. პირველ რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ — მ. კობახიძე, ი. გელანტია, ლ. მორგოშია, ც. კალანდაძე; მეორე რიგში — ზ. კილაძე, თ. ჭეიშვილი, მ. კიკვიძე.

ფოტო ს. კილაძისა.

# ჩვენი ლია მასწავლებელი

**სიამოვნებით,** სიყვარულით წარმოთქვამენ ამ სიტყვებს სოფელ მისაქციელში მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც, პედაგოგებიც და სხვა დარგის მუშაკებიც. „ჩვენი ლია მასწავლებელი!" — რამდენი სითბო და ადამიანური სიახლოვეა ამ ერთ ფრაზაში, რა უშუალობა და გულითადობაა შიგ ჩაქსოვილი! სოფელი, ხალხი კი ღონიერიც არის და გონიერიც, უსაფუძვლოდ, დაუმსახურებლად არც არავის შეიყვარებს და არც მოეფერება. უღირსს, უქნარას, პირიქით, გაჰკილავს, დამამცირებელი ეპითეტებით შეამკობს, დასჯის.

მაინც რით მოიპოვა სოფლისა და მცხეთის რაიონის საზოგადოების ასეთი პატივისცემა თბილისელმა ლია ჩიხიაშვილმა?

ორი წელია, რაც ეს ქალიშვილი სოფელ მისაქციელის საშუალო სკოლაში ასწავლის ინგლისურ ენას. თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ამ სოფელში გამოგზავნეს სამუშაოდ. ლიას ზოგიერთი მისი თანაკურსელივით პროტექტორების ძებნა როდი დაუწყია თბილისში დასარჩენად. ეს ქალიშვილი უყოყმანოდ მოვიდა სოფელში და თან მოიტანა საფუძვლიანი ცოდნაც, შრომისმოყვარეობაც, გულითადობაც, რწმენაცა და მაღალი კულტურაც. და თუ კი ყოველივე ამას უანგაროდ გადასცემს ბავშვებს, ხალხს, ცხადია, არც ისინი დაგრჩებიან უმადურნი — ამ სიკეთეს დაინახავენ, იგრძნობენ და თავისიანად მიგიღებენ, გულს გადაგიხსნიან.



ლია ჩიხიაშვილის სამოღვაწეო ასპარეზი მისაქციელში, რასაკვირველია, ხალიჩებითა და ვარდ-ყვავილით როდი იყო მოფენილი. თავდაპირველად ბევრი სიძნელე და დაბრკოლება აღიმართა ახალგაზრდა გამოუცდელი მასწავლებლის წინაშე.

ლიას არასოდეს არ დაავიწყდება 1963 წლის 2 სექტემბერი. ცხრილით პირველი გაკვეთილის ჩატარება მაინცდამაინც XI კლასში მოუხდა. აქ მაშინ მასზე მაღალი და ტანსრული ქალიშვილები და ჭაბუკები ისხდნენ. ცოტა არ იყოს, თვალში კიდევაც ეპატარავათ ეს ტანმორჩილი ქალაქელი მასწავლებელი და რამდენიმე მათგანმა ეშმაკურადაც ჩაუკრა ერთმანეთს თვალი — ვითომ ამ გოგონას ჩვენს დაკრულზე ვათამაშებთო. ლიამ იგრძნო ასეთი განწყობილება, მიხვდა, რომ ეს გაკვეთილი იყო „ბეწვის ხიდი", რომელზეც უშიშრად გავლა ბევრად განსაზღვრავდა მთელი მისი მომავალი მუშაობის ავ-კარგსაც და რეპუტაციასაც. მიხვდა და ისე ჭკვიანურად წარმართა გაკვეთილი, რომ ყველაზე დიდი „ამრევიც" კი ადვილად დაიმორჩილა, „ბეწვის ხიდი" მშვიდობიანად, წარმატებით გაიარა, პირველი და გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა, ცოდნამ, ალღომ, სწორმა ტაქტმა თავისი ნაყოფი გამოიღო. ხომ მოგეხსენებათ, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში რა უპირატესია პირველი შთაბეჭდილება! შემდეგში უფრო გაუადვილდა მუშაობა, თანდათან კალაპოტში ჩადგა ყველაფერი, პედაგოგიური გამოცდილების „უულაბა" ნელნელა მდიდრდებოდა.

ლია ჩიხიაშვილის პედაგოგიურ წარმატებაში მცირე წვლილი როდი შეიტანა მისაქციელის სკოლის დირექტორმა ვალერიან ცანავამ. ამ განათლებულმა ადამიანმა, სხვათა შორის, ინგლისური ენაც იცის და გაკვეთილებზე დასწრებით მუდამ საგულისხმო, ანგარიშგასაწევ რჩევა-დარიგებას აძლევდა ახალგაზრდა მასწავლებელს. სწორედ მისი დახმარებითა და ხელშეწყობით შეძლო ლ. ჩიხიაშვილმა ყველა კლასის უზრუნველყოფა საჭირო თვალსაჩინოებით, ამჟამად ის არც ერთ გაკვეთილს არ ჩაატარებს უთვალსაჩინოებოდ, და შედეგებიც კარგია.

მაგალითად, შარშან VI კლასში რომ ლია გაკვეთილი ჩაატარა თემაზე — „ზამთარი", სწორედ დირექტორის რჩევით, უფროსკლასელ ნუნუ ბრაჭულს დაახატვინა ზამთრის მშვენიერი სურათი, რომლის უნარიანმა გამოყენებამ დიდი წარმატება მოუტანა ამ გაკვეთილს. საერთოდ, VI კლასის სახელმძღვანელოებში, მართალია, ყველა თემისათვის მოცემულია შესაფერისი სურათი, მაგრამ მასწავლებელი ამით არ კმაყოფილდება, ყველა სურათს ადიდებინებს და სხვა თვალსაჩინოებასთან ერთად იყენებს გაკვეთილზე.

ასე მოუსვენარ შრომაში, ძიებაში იზრდება ლია ჩიხიაშვილი როგორც პედაგოგი, ადამიანი და მოქალაქე. ამ ახალგაზრდა მასწავლებელზე ბევრი კარგი სიტყვა ითქვა მცხეთის რაიონში ახლახან ჩატარებულ მასწავლებელთა მეთოდურ თათბირზეც. ანდა რატომაც არ უნდა გაესვას ხაზი საჯაროდ მის მონდომებულ შრომას: მცხეთის რაიონის სკოლებს შორის მისაქციელის სკოლა ხომ ერთ-ერთია, სადაც მაღალ დონეზეა დაყენებული ინგლისური ენის სწავლება, ამ საგანში მეორეწლიანობა უკვე დაძლეულია. მოუსმინეთ, თუ გნებავთ, მეხუთეკლასელებს, რა ჩინებულად მღერიან ინგლისურად „დაე მუდამ იყოს მზე", „ჩემი ძმა" და სხვა სიმღერებს... მერე და სიმღერის სწავლება ხომ სავალდებულო არ არის!

მარტოოდენ სკოლით როდი იფარგლება ლიას სამოღვაწეო ასპარეზი. ის კომკავშირის კომიტეტის ენერგიული ხელმძღვანელიც გახლავთ და სოფლის კულტურულ-მასობრივი მუშაობის ერთ-ერთი ინიციატორიც. საუბრები, დილა-საღამოები, კონცერტები, რომლებიც მისაქციელში იმართება ლია ჩიხიაშვილის აქტიური მონაწილეობით (ის ხომ საუცხოოდ მღერის და ცეკვავს) დიდ კმაყოფილებას იწვევს მშრომელებში, მშობლებში, დიდსა თუ პატარაში.

ეს ქალაქელი ქალიშვილი უკვე თავისიანად მიუღიათ მისაქციელელებს, და არც ლიას უჭირავს თვალი გაქცევაზე. ამ მშვენიერ სოფელში დაიწყო მისი შრომითი მოღვაწეობა და სწორედ შრომაში ხედავს ის თავისი ცხოვრების დანიშნულებასა და აზრს.

ჩვენს ლია მასწავლებელს რომ წარმოთქვამენ მისაქციელელები, ამით მიგვანიშნებენ: ეს ქალიშვილი უკვე ჩვენია, სხვას ვერ დავუთმობთ, ვერ შეველევითო, და ჩვენ გვჯერა, რომ ლიაც ასეთივე განწყობილებით არის ამ კეთილი ადამიანებისადმი, სოფლისადმი.

**გ. ალავერდაშვილი.**

## შემთხვევა ფოსტაში

# ნაღმი... ამანათში

ის რაც ამას წინათ მოხდა ტყვარჩელში, შეიძლება წარმოუდგენელიც კი იყოს, მაგრამ ფაქტი ჯიუტი რამ არის.

ერთ ჩვეულებრივ დღეს ტყვარჩელის № 4 საფოსტო განყოფილებაში ამ ქალაქის მცხოვრებ ს. ბაბასკინას სახელზე ამანათი მოვიდა. 12 აგვისტოს ს. ბაბასკინა ქმართან ა. ასმინინთან ერთად ფოსტაში მივიდა ამანათის მისაღებად. მათი ყურადღება მიიქცია იმან, რომ ამანათი მოცულობით პატარა იყო, მაგრამ წონით 9 კილოგრამს აღემატებოდა. ამანათს გზავნიდა ს. ბაბასკინას დედა. გასაკვირველი იყო ის, რომ ამას წინათ ისინი კრასნოდარის მხარის დაბა დაგომისში დედასთან იყვნენ და ამანათის მიღებას არ ელოდებოდნენ.

ა. ასმინინი განზე გადგა და ამანათს გახსნა დაუწყო, ზედა სახურავი ასწია. მერე გადაწყვიტეს სახლში გაეხსნათ. ქმარმა ამანათი ასწია და მხარზე დაიდო. ის-ის იყო ფოსტიდან გასვლას აპირებდა, რომ აფეთქების გამაყრუებელი ხმა გაისმა. ა. ასმინინი მძიმე ჭრილობებისაგან წაიქცა. მსუბუქად დაიჭრა ფოსტის გამგე ნ. პლატონოვა, დაიჭრა აგრეთვე მოქალაქე გ. ლუგაჩენკო.

ადგილზე უმალვე გაჩნდნენ ტყვარჩელის მილიციის მუშაკები. ვის შეეძლო ეს გაეკეთებინა? როდესაც ს. ბაბასკინა დაკითხეს, მან ეჭვი გამოთქვა თავის ყოფილ ქმარზე ა. პაშკოვზე, რომელიც დაბა დაგომისში ცხოვრობს.

ტყვარჩელიდან კრასნოდარის მხარის დაბა დაგომისში გაემგზავრა ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ტყვარჩელის მილიციის გამომძიებელი შ. არგუნი, პროკურატურის გამომძიებელი ს. სტილიდი.

აღმოჩნდა, რომ ა. პაშკოვი დაგომისის კავშირგაბმულობის კვანძში მუშაობს რადიოტექნიკოსად. დაკითხვაზე პირველად უარზე იდგა, ბოლოს კი ყოველივე აღიარა.

— დიახ, ყოფილი ცოლის მოკვლა მინდოდა, ალიმენტს უკანონოდ მახდევინებდა. სამწუხაროა, რომ აფეთქების დროს ჩემი ყოფილი ცოლი უვნებელი დარჩა. — ასე განაცხადა დაკითხვისას ბოროტმოქმედმა.

**პლ. ბარქაია.**

### ექვსი ახალშობილი

ლონდონი, 30 აგვისტო. (საკდესი). ბრაზილიის ქალაქ უმაიტაში ამაზონკისა და აკრის შტატების საზღვარზე კაუჩუკის პლანტაციის ერთ-ერთი მუშის ცოლმა შობა ექვსი ბავშვი. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, დედა და ექვსივე ახალშობილი თავს კარგად გრძნობენ.

# ჭედუნები და მედლები

### საბჭოთა სტუდენტ-სპორტსმენების წარმატებანი ბუდაპეშტის უნივერსიადაზე

**ჩვენ** უკვე ვიუწყებოდით ბუდაპეშტის სტუდენტთა უნივერსიადის ფინიშზე, დამყარებულ რეკორდებზე, ზოგიერთ მაჩვენებლებზე. საინტერესოა ვიცოდეთ, მთავარმა მეტოქეებმა რამდენი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, სად გაიმართება სტუდენტ-სპორტსმენთა მომავალი ასპარეზობანი.

მედლების საერთო რაოდენობით ყველას გაუსწრო საბჭოთა გუნდმა, რომელმაც 18 ოქროს, 27 ვერცხლისა და 15 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. არაოფიციალური ჩათვლით სსრ კავშირის გუნდმა 333 ქულა შეაგროვა და თვალსაჩინოდ გაუსწრო უახლოეს მეტოქეებს.

თუ შეჯიბრებაში მონაწილე ქვეყნების მაჩვენებლებს შევაფასებთ მარტო ოქროს მედლებით, მაშინ ყველაზე უკეთესი შედეგი აქვთ უნგრეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენთა კოლექტივებს. უნგრელებმა მოიპოვეს 16 ოქროს მედალი, ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებმა — 14 ოქროს მედალი.

გარდა ოქროსი, უნგრელებს აქვთ 8 ვერცხლისა და 14 ბრინჯაოს მედალი (247 ქულა), ამერიკელებს — ვერცხლისა და ბრინჯაოს ცხრა-ცხრა მედალი.

მომავალ 1966 წელს სტუდენტი სპორტსმენები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად ზამთრის უნივერსიადაზე იტალიის ქალაქ ტურინში, ხოლო 1967 წელს გაიმართება ზაფხულის უნივერსიადა. ვარაუდობენ, რომ ასპარეზობის ორგანიზატორი ტოკიო იქნება.

## სარეკორდო ტრავერსი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან დაბრუნდა ქუთაისელ მთამსვლელთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ექსპედიციის ხელმძღვანელი — ა. ნემსიწვერიძე, მოტრავერსეები — მ. ხერგიანი (იერიშის ხელმძღვანელი), ჯ. კახიანი, ჯ. გუგავა, ვ. გაბელაშვილი და გ. წერედანი.

ქუთაისელ ალპინისტთა ამ ჯგუფმა მოახდინა თავისი მასშტაბითა და ტექნიკური სირთულით კავკასიონისათვის უჩვეულო ტრავერსი, რომელიც 18 დღეს გაგრძელდა.

ტრავერსის პროგრამა წარმატებით განხორციელდა. დაპყრობილ იქნა კავკასიონის 24 მწვერვალი. ბევრ მათგანზე ასვლა პირველად მოხდა. ახალ, უსახელო მწვერვალებს მთამსვლელებმა შემდეგი სახელები შეარქვეს — „გრიშაშვილი", „ლილე", „ქუთაისის ავტოქარხანა", „საპოვნელა", „მირანგულა", „ქუთაისი", „ბეთქილი", „უშგული", „ტიციანი".

## ლიდერთა კვარტეტი

**ჰავანაში** გათამაშდა ცნობილი კუბელი მოჭადრაკის ხოსე-რაულ კაპაბლანკას ხსოვნის საერთაშორისო ტურნირის ოთხი ტური. ასპარეზობას ოთხი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან საბჭოთა გროსმაისტერები სმისლოვი და ხოლმოვი, აგრეთვე ივკოვი (იუგოსლავია) და პახმანი (ჩეხოსლოვაკია), რომლებსაც სამ-სამი ქულა აქვთ. რ. ფიშერს (ამერიკის შეერთებული შტატები) 2,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

## თასის მფლობელთა თასზე

**წელს** საბჭოთა ფეხბურთელები პირველად მიიღებენ მონაწილეობას ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში. როგორც ცნობილია ამ შეჯიბრებაზე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი იქნება კიევის „დინამოს" გუნდი.

გუშინ კიევის დინამოელები ჩრდილოეთ ირლანდიაში გაფრინდნენ. 2 სექტემბერს ქ. კოლრეინში ისინი შეხვდებიან ადგილობრივ გუნდს — „კოლრეინს" თასის მფლობელთა თასზე.

## „ტრაქტორი"— „ლოკომოტივი"

**გუშინ** გაიმართა „ა" კლასის მეორე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში.

თბილისის „ლოკომოტივი" ვოლგოგრადს ეწვია და აქ პაექრობა ჰქონდა ადგილობრივ „ტრაქტორთან". შეხვედრის შედეგია 3:0 „ტრაქტორის" სასარგებლოდ.

კომუნისტი — სპორტი

# ათასი კითხვა

**ბელგრადის** „სპორტს" აქვს საინტერესო განყოფილება, რომელსაც „ათასი კითხვა" ეწოდება. ყოველ ორშაბათს გაზეთი აქვეყნებს თავისი კორესპონდენტის ვ. ნედელკოვიჩის ვრცელ ინტერვიუს რომელიმე გამოჩენილ სპორტსმენთან. იმათი ჩამოთვლა, რომლებისათვისაც ვ. ნედელკოვიჩს „ათასი კითხვა" მიუცია, შორს წაგვიყვანდა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ამ უკანასკნელ ხანებში „სპორტმა" გამოაქვეყნა ვრცელი საუბარი ფრანგული ფეხბურთის „გროსმაისტერ" რ. კოპასთან, ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტ საერთაშორისო ოსტატ ალა კუშნირთან, მსოფლიოს ექს-ჩემპიონთან მ. ტალთან.

საყურადღებოა, რომ ალა კუშნირმა მწარედ უსაყვედურა „სპორტის" საჭადრაკო მიმომხილველებს (პირველ რიგში დ. იანოშევიჩს), რომელსაც შემთხვევითად მიაჩნდათ მისი გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონობის სამი პრეტენდენტის მატჩ-ტურნირში. დ. იანოშევიჩის აზრით, ადგილები ამ დამატებით შეჯიბრებაში ასე უნდა განაწილებულიყო: 1. ტ. ზატულოვსკაია, 2. მ. ლაზარევიჩი, 3. ა. კუშნირი. სინამდვილეში კი ყველაფერი „თავდაყირა დადგა". ა. კუშნირმა მეტად მაღალი შეფასება მისცა მსოფლიოს ჩემპიონის ნ. გაფრინდაშვილის თამაშს. როდესაც მიმომხილველმა ვ. ნედელკოვიჩმა პრეტენდენტს პირდაპირ ჰკითხა, აქვს თუ არა მას ნ. გაფრინდაშვილთან მოგების იმედი, დადებითი პასუხი მიიღო. საყურადღებოა, რომ პრეტენდენტთა დამატებით შეჯიბრებაში გამარჯვებისთანავე საკავშირო რადიოს კორესპონდენტთან საუბარში ა. კუშნირმა განაცხადა, რომ კარგს არაფერს მოელის ჩემპიონთან შეხვედრისას. მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და პრეტენდენტიც საგრძნობლად გამხნევდა.

მეტად საინტერესო გამოდგა ვ. ნედელკოვიჩის საუბარი მ. ტალთან. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მაღალი შეფასება მისცა უკანასკნელ ხანებში დაწინაურებულ გროსმაისტერებს ბ. ლარსენს, ბ. ივკოვსა და ლ. პორტიშს. შემდეგ მ. ტალი შეეხო რ. ფიშერის თამაშს. ამერიკელი გროსმაისტერი საჭადრაკო მიმომხილველებს ხომ კარგა ხანია მიაჩნიათ „№ 1 მოჭადრაკედ უცხოეთში" და საბჭოთა კორიფეების ძირითად მეტოქედ. მ. ტალის აზრით, ჭაბუკი გროსმაისტერი ვერასოდეს ვერ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი დაბალი ზოგადი განათლების გამო.

შეეხო რა პრეტენდენტთა მატჩებს, მ. ტალმა აღნიშნა მათი დიდი სიმწვავე. როდესაც კორესპონდენტმა მასაც პირდაპირ ჰკითხა, აქვს თუ არა მსოფლიოს ჩემპიონობის დაბრუნების იმედი, რიგელმა გროსმაისტერმა მოსწრებულად მიუგო, რომ „ისტორია ზოგჯერ მეორდება, და ეს ჭადრაკსაც ეხება".

ინტერვიუს დიდი ნაწილი დაეთმო „ნაკლებად საჭადრაკო" ამბებს. რიგელმა მოჭადრაკემ განაცხადა, რომ იგი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია, მოსკოვის „დინამოსა" და რიგის „დაუგავას" ქომაგი და ლ. იაშინის ნაცნობი. თვით მ. ტალი იმდენად კარგად თამაშობს მაგიდის ჩოგბურთს, რომ, როგორც მან განაცხადა, არაერთი ჯილდოც დაუმსახურებია.

დასასრულ მ. ტალმა მადლობა გადაუხადა თავის მწვრთნელს ა. კობლენცს, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია მას პასუხსაგები შეჯიბრებისათვის მზადებაში.

**ვ. გამრეკელი.**

## მეცნიერება და ტექნიკა

# აფეთქებანი სახლის ახლოს

### სეისმოლოგები და არქიტექტორები მხარს უჭერენ ხიმინჯიან საძირკვლებს

**პროექტების** გარშემო დავა ატყდა. დუშანბელმა მშენებლებმა წინადადება წამოაყენეს სამ-ან ოთხსართულიანი სახლები რკინაბეტონის კოლონებზე დაიდგას და არა ჩვეულებრივ ლენტურ საძირკვლებზე. მაგრამ შემკვეთლები წინააღმდეგი იყვნენ: იმ რაიონებში, სადაც მიწისძვრების ძალა რვა-ცხრა ბალს აღწევს, ეს რისკს როდია მოკლებული. სიმკვიდრისათვის გადაწყვიტეს ჯერჯერობით სვეტების გვერდით დადგან სიხისტის დიაფრაგმები — რკინაბეტონის მძლავრი კედლები.

დავის გადაჭრა წლინახევრის წინათ იკისრეს ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის სეისმოლოგებმა.

მოდელებისა და მაკეტების ნაცვლად, როგორც ჩვეულებრივად არის მიღებული, გადაწყდა დუშანბედან რამდენიმე კილომეტრზე აეგოთ ორი ოთხსართულიანი საექსპერიმენტო სახლი. ერთი მათგანი ლენტურ საძირკველზე დადგეს, მეორე — რკინაბეტონის სვეტებზე. შენობებს სეისმოლოგები დაეუფლნენ.

...აფეთქებები ერთიმეორეს მოსდევდა. ამონიტს შურფებში აწყობდნენ შენობებიდან სხვადასხვა მანძილზე. ფხიზელი ხელსაწყოები კი საძირკვლის, სვეტებისა და კედლების ყოველ ოდნავ რყევას აღნიშნავდნენ. მოახდინეს აფეთქებათა სერია სახლებიდან ოთხმოც მეტრზე. მიწისქვეშა ბიძგები მოგვაგონებდა ნიადაგის რყევას მიწისძვრის დროს.

აფეთქებათა ჩანაწერებმა, რომლებიც ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე დაამუშავეს, ცხადყო, რომ ხისტფუძიანი სახლის ზედა სართული ქანქარასავით ირხეოდა. შენობის კედლებში უდიდესი დაძაბულობანი იქმნებოდა: რაც უფრო მაღალია სართული, მით უფრო ძლიერია რყევა.

სულ სხვანაირად მოხდა სვეტებზე დადგმულ სახლში. შენობა მეორიდან მეოთხე სართულამდე ერთნაირად რბილად ირყეოდა ვერტიკალური ღერძის პარალელურად. სვეტები ამორტიზატორებივით ანელებდნენ მიწისქვეშა დარტყმებს. სახლის კედლებში დამატებითი დაძაბულობანი არ იქმნებოდა: ეს ყველაზე მგრძნობიარე სეისმოგრაფების ათასობით ჩვენებამ დაადასტურა.

მაგრამ მეცნიერები საბოლოო დასკვნის გამოტანას არ ჩქარობდნენ. შესაძლოა, ნამდვილი მიწისძვრის დროს, როცა მიწისქვეშა ბიძგების ძალა და მიმართულება სხვაა, ვიდრე აფეთქების დროს, შენობების რყევა და სეისმომედეგობაც იცვლებოდეს.

ბუნებამ ხელი შეუწყო იმას, რომ ამ კითხვაზეც გაეცათ პასუხი. დუშანბეს ახლოს ხშირად მეორდება სუსტი მიწისძვრები. ინსტიტუტის ლიაურის საინჟინრო სადგურზე უკვე რეგისტრირებულია ორასზე მეტი სუსტი ბუნებრივი მიწისძვრა. მოქნილპირველსართულიანი სახლი ამ მიწისძვრებს გაცილებით უფრო საიმედოდ უძლებდა, ვიდრე ლენტურ საძირკველზე დადგმული სახლი.

კვლევის ხელმძღვანელს, ტაჯიკეთის სეისმომედეგი მშენებლობისა და სეისმოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერს საბით ნეგმატულაევს ვთხოვე ეამბნა ექსპერიმენტის შედეგებზე.

— გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოქნილპირველსართულიანი სახლები უფრო მდგრადია მიწისძვრების დროს, ვიდრე ჩვეულებრივსაძირკვლიანი სახლები. სახლის სვეტები, მიწისქვეშა ბიძგებს რომ მიიღებენ, აქრობენ და მნიშვნელოვნად ანელებენ შენობის ზედა სართულებზე მიწისძვრების ზემოქმედების ძალას. ლენტურსაძირკვლიანი სახლი ხისტად არის დაკავშირებული ზედა სართულებთან. იგი ბიძგებს იღებს მთლიანად, მთელი კორპუსით. აქედან წარმოსდგება ზედა სართულების მკვეთრი რყევა და გაძლიერებული დაძაბულობანი კედლებში...

მალე არქიტექტორები მიიღებენ დეტალურ, ზუსტად დასაბუთებულ რეკომენდაციებს: როგორ აშენონ სახლები მაღალი სეისმურობის რაიონებში.

**ეფიმ შაგალოვი.**

# თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1965-66 სასწავლო წლისათვის პირველ და მესამე კურსებზე.**

პირველ კურსზე მიიღებიან ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს არასრული საშუალო სკოლა, ხოლო მესამე კურსზე — სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

განცხადებები მიიღება 5 სექტემბრამდე.

მიღების პირობები საერთოა ყველა ტექნიკუმისათვის.

მისაღები გამოცდები 10 სექტემბრიდან.

ტექნიკუმში შემსვლელთათვის მოსამზადებელი კურსები გახსნილია.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

ტექნიკუმის მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპ. 25, ტელეფონი № 2-30-33.

**დირექცია.**

# საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას.**

მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის მთავარი და უფროსი ბუღალტრების, ბუღალტრებისა და მოანგარიშეების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ჯგუფებში როგორც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, ისე მოწყვეტით.

კომბინატი ამზადებს აგრეთვე აღრიცხვის მექანიზაციის მუშაკთა კადრებს: თბილისში — ოპერატორებს, ინსტრუქტორ-ოპერატორებს, მექანიკოსებს, დამპროექტებლებს, ბათუმში — ოპერატორებს. კომბინატი აწარმოებს სოფლის მეურნეობის განხრით აღრიცხვის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე. სკოლები სამეურნეო ანგარიშზეა.

სკოლაში შემომსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება დადგენილი ფორმის მიხედვით (შევსება საბუთის ჩაბარებისას), 2. განათლების საბუთის პირი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, 3. ავტობიოგრაფია, 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, 6. ცნობა აღრიცხვის დარგში მუშაობის შესახებ (უნდა წარმოადგინონ აღრიცხვის დარგში მომუშავეებმა), 7. პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას საბუთების ჩაბარებისას), 8. ერთი ცალი ფოტოსურათი.

სასწავლო კომბინატის მისამართია:

თბილისი — ჭავჭავაძის პრ. № 17. სასწავლო კომბინატის საბუღალტრო სკოლებისა: ბათუმი — კალინინის შესახვევი № 3; სოხუმი — ლაკობას, 40; მახარაძე — ნინოშვილის ქ. № 7; ზუგდიდი — მახარაძის ქ. № 47; ქუთაისი — წულუკიძის ქ. № 22; ზესტაფონი — ჩაპაევის ქ. № 19; გორი — ლენინის ქ. № 96; ლაგოდეხი — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი; ფოთი — რკინიგზის სკოლა; ცხინვალი — ლენინის ქ. № 4; თელავი — რუსული საშუალო სკოლა; რუსთავი — პიონერის ქ. № 38.

## რადიო

### 1 სექტემბერი

### პირველი პროგრამით

09.15 — სიმღერები და-ძმა კირვალიძეების შესრულებით, 10.15 — მ. ფოცხიშვილისა და ნ. გურეშიძის ლექსები, 12.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — პირველი სექტემბერი, 12.45 — ი. დუნაევსკის სიმღერები, 13.10 — ქართული რომანსები, 13.40 — ბულგარული სიმღერები, 17.15 — ი. ტუსკია. ვოკალურ-სიმფონიური პოემა „ბაზალეთის ტბა", „ჩელა", 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „დაგვილოცნიხართ", 18.10 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 18.45 — თ. ზაალიშვილის კონცერტი, 19.30 — ნარკვევი: „მყინვართა მკვლევარი", 19.45 — სიმღერები კ. შულჟენკოს შესრულებით, 20.15 — ს. ცინცაძე. ფრაგმენტები ბალეტ „დემონიდან", 20.30 — „თბილისი, ბაქო, ერევანი", 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — კონცერტი ბ. ბრიტენის ნაწარმოებებიდან, 22.00 — ო. ჩხეიძე. „კვერნაქი" (ნაწყვეტი რომანიდან), 23.30 — მსუბუქი მუსიკა.

## ტელევიზია

### 1 სექტემბერი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ოქტომბრელთათვის სატელევიზიო ჟურნალი „ჯეჯილი", 18.30 — კონცერტი მოსწავლეთა თხოვნით, 18.50 — რიგის თეატრის გასტროლები თბილისში, 19.20 — „დიდი გულის ადამიანები" გადაცემა ეძღვნება საბჭოთა მასწავლებლებს (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.50 — ახალგაზრდობისათვის „სახლი, რომელშიც ჩვენ ვიზრდებით" (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.20 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ღამე", 22.55 — ახალი ამბები.

# ვუსმინოთ, ვუყურებთ

## 1965 წლის 30 სექტემბერს ქ. ლენინგრადში შედგება სახელმწიფო

**3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 107-ე ძირითადი და მე-18 დამატებითი ტირაჟები.**

სესხის ცხრამეტ თანრიგზე ძირითად ტირაჟში გათამაშდება 8835380 მანეთის 161500 მოგება, მათ შორის:

| | | | |
|---|---|---|---|
| 5000-მანეთიანი | 38 მოგება. | 500-მანეთიანი | 1520 მოგება. |
| 2500-მანეთიანი | 95 მოგება. | 100-მანეთიანი | 13300 მოგება. |
| 1000-მანეთიანი | 475 მოგება. | 40-მანეთიანი | 146072 მოგება. |

მე-18 დამატებით ტირაჟში გათამაშდება 10.000-მანეთიანი — 19 მოგება, 5.000-მანეთიანი 95 მოგება და ასე შემდეგ.

სესხზე ყოველწლიურად იმართება მოგებათა ექვსი ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი.

მოსახლეობაში არსებული 3-პროცენტიანი სესხის ობლიგაციები მონაწილეობას იღებენ მოგებათა ყველა ტირაჟში, რომლებიც გაიმართება ამ სესხის ვადის გასვლამდე.

სესხის ობლიგაციებს ყიდის და თავისუფლად ყიდულობს ყველა შემნახველი სალარო.

**შეიძინეთ სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები! მონაწილეობა მიიღეთ მოგებათა ტირაჟში!**

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

რედაქტორი **დ. მჟედლიშვილი.**

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-67-61, პროპაგანდის — 8-22-98, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, უცხოეთის — 8-15-63, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96. ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 11982 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.